

# ბეჭდვითი პერიკლი



2633  
1953

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

## „LE DESTIN DE LA GÉORGIE“

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16<sup>e</sup>). Tél.: Passy 75-35.

№ 14

მ ა რ ტ ი — 1953 — M A R S

№ 14

### ს მ ე უ რ დ ა ნ ი ა

(წ 11 იანვარს 1953).

განგვემოწონა საუკუნოდ დიდი ქართველი. ხანგრძლივი იყო ცხოვრება მისი. იგი სრული 85 წლისა იყო, როდესაც უზენაესმა მას თავისთან მოუწოდა. მწერალი, მოაზრე, პოლიტიკოსი, რომელიც ახალგაზრდობიდანვე იღვწოდა თვის იდეალთა განსახორციელებლად და თვისი ერისათვის, იღეს ჩვენს შორის აღარ არის.

მას ვიგლოვთ მისნი მეგობარნი და დამფასებელი მისი ღვაწლისა. მე პირადი უმცროსი მეგობარიც ვიყავი მისი და დამფასებელიც მისი ღვაწლისა, მცოდნე მისი პიროვნებისა ღირებისა. ამიტომ მსურს მისთვის მცირე სიტყვა ვთქვა.

აჩი მინდა მისი ბიოგრაფია ვთქვა ამ სიტყვით, — ცხოვრების აღწერა მისი მომავლის საქმეა. მე მინდა მხოლოდ შევებო არსებას მისი ბუნებისა და მის ღვაწლს, რომელიც მას თვისი ქვეყნის წინაშე გაუწევია, მის საქმეთ. საყვედურების თქმა დიდ - კაცთათვის, კრიტიკა მათ საქმეთა წერილმანნი და იაფი, და სხვა ამგვარი რამ, არა-რაობის თქმა და არარაობისაგან აჩი ოდეს არაფერი კარგი ყოფილა. ამას გარდა, დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკოსთაგანაც ვის არ მოსულია შეცდომა? რა არის ნოე ჟორდანიას შეცდომები იმ „შეცდომებთან“ შედარებით, რომლებიც გამოიღეს კაცობრიობა კატასტროფის წინაშე დგას!

ნოე ჟორდანიას მსოფლიოს - ხედვა მარქსისტული იყო. მარქსისტული იყო მისი ახალ - გაზრდობის ხანაში მსოფლიოს - ხედვა ევროპისა და რუსეთის სოციალისტთა უმეტესობისა. იგიც

გაიტაცა ამ დიდმა მოძრაობამ და წარსული საუკუნის მე-90-ე წლებითგან იგი ოცდაათი წლის განმავლობაში თვის მსოფლიოს - ხედვას, თვის სოციალურ და პოლიტიკურ იდეალებს უქადაგებდა ქართველ მუშათა და გლეხთა და ქართველი ერის სხვა ნაწილებსაც, — მთელს ქართველ ერს. მაგრამ მისი ღვაწლი მარტო კალმით და სიტყვით არ ამოიწურებოდა. მარქსიზმი რევოლუციური მოძღვრება იყო, მოძღვრება კლასთა ბრძოლისა, ბრძოლისათვის კი საჭირო იყო დარაზმვა ხალხისა, მისგან განსაზღვრული იდეოლოგიის მქონე მებრძოლი და შეგნებული მხედრობის შექმნა. და ნოე ჟორდანიას და მისმა თანამოაზრეებმა პირველად დარაზმეს განსაზღვრული სოციალური - პოლიტიკური იდეალის მქონე ქართველობა: მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, თვით თავად - აზნაურობის მოზრდილი ნაწილიც შედიოდა მათგან შექმნილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ეს იყო დიდი საქმე მათგან ქმნილი მაშინდელი მძიმე პირობებში ცარიუსტული რუსეთის ბატონობისა საქართველოში, და ჩვენც, არა - მარქსისტებმა და ნაციონალისტებმა დიდი საქმე მოწინააღმდეგისა და დიდად უნდა ესცნოთ.

ქართული ნაციონალიზმი მაშინ იდეურად ძლიერი იყო, მაგრამ ხალხის დარაზმვა ეროვნული თავისუფლების იდეალის განსახორციელებლად მან ვერ შესძლო. ქართულ მარქსიზმს კი რუსეთის რევოლუციურ ძალებთან ერთად მოქმედებით მიანდა შესაძლებლად თვით - მპყრო-

კანონი კანონი

ბელოზის დამსობა, სოციალიზური რეფორმები მშრომელ კლასსათვის და დამყარება დემოკრატიული თავისუფლებისა. ამ მიზანთა მიხედვის შემდეგ მისი რწმენით იერიც კვლავ მოიპოვებდა დაკარგულ უფლებებს. ნაციონალისტური ბრძოლის წარმოება უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ, თვით ამ იმპერიის რევოლუციონური ძალთა დაუხმარებლად, მას სრულიად უიმედოდ მიიჩნდა.

ამ ნიადაგზედ სწარმოებდა ბრძოლა სხვა და სხვა მიმართულების ქართული ნაციონალიზმისა სოციალ - დემოკრატიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ჩვენში, როგორც ყველგან, ზმირად მწვავე იყო და მანებელი მთელი ერისათვის, მაგრამ ქართველი სოციალ-დემოკრატების არც კლასთა ბრძოლის ქადაგება და არც ქართველი ხალხის მიმართვას წმიდა სოციალიზრ-პოლიტიკური იდეალებისაჟენ ქართველი ერის მთლიანობა არ დაუზრღვევია. დადგა დრო და მთელმა ქართველმა ერმა, განურჩევლად პარტიათა, აჩვენა ქვეყანას, თუ რა იყო მისი ნება და სურვილი.

ქართული სოციალ-დემოკრატიის მხოლოდ ბოლომდეკური ნაწილი, ე. ი. უმცირესი ნაწილი იყო, რომელსაც საქართველოს პოლიტიკური უფლებანი არ აინტერესებდენ. ხოლო ნოე ყორდანია და მისი პარტიის უმეტესობა, მიუხედავად მათი ბრძოლის ტაქტიკისა, რომელიც თითქოს ამ უფლებათა უარყოფას მოასწავებდა, არ ივიწყებდენ ქართველი ერის კანონიერ პოლიტიკურ-ეროვნულ მოთხოვნილებათ. თვით ნოე ყორდანია საქართველოში იყო და არა ლონდონის ინტერნაციონალიში, იგი ქართულად სწერდა და ვახდა დიდი ქართველი პუბლიცისტი, იგი ქართულად უქადაგებდა თავის იდეალებს ქართველ მშრომელთ. რუსეთის სოც. - დემ. პარტიის ყრილობაზედ 1902 წელს იგი მოითხოვდა შეორე ქართველ სოციალ - დემოკრატთა ერთად საქართველოს ავტონომიას, ავტონომიას აგრეთვე სხვა ჩაგრულ ერთათვის რუსეთის იმპერიის წიაღში. და როდესაც დადგა ჟამი, აჩვენა ქვეყანას, თუ რა ვერო უფლებანი სწამდა მას მისი მშობელი ერისათვის და სხვა უფლება - ახდילו ერთათვისაც.

პირველი დიდი ომის დროს, როდესაც ქართველ ნაციონალისტთა ჯგუფი ვერმანიაში მოქმედებდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების აღსადგენად, გამამხნევებელი ხმა საქართველოთვან, გარდა ამ ჯგუფის თანამოაზრეთა, ნოე ყორდანიათვან გვესმოდა, ინტერნაციონა-

ლისტ-სოციალ-დემოკრატისაგან, არა ნაციონალისტურ პარტიათაგან. ნოე ყორდანია იცოდა, რომ დადგა ჟამი რუსეთის იმპერიის მიერ დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა და მარჯვე დროს უცდიდა, რომ მისი ქვეყნისათვისაც აღედგინა დიდი ხნითგან დათრგუნვილი სახელმწიფოებრივობა. მან იცოდა, რომ მას უნდა ეკისრათ დიადი საქმე, რათგანაც იგი იყო წინამძღოლი ქართველი ერის დიდი უმეტესობისა.

ნოე ყორდანიას მცირე დეაწლი იარ მიუძღვის კავკასიის ერთა სოლიდარობის იდეის შექმნისათვის. და როდესაც რუსეთის მმართველობა დაიშალა კავკასიაში 1917 წ. რევოლუციის დროს, ამ იდეით იყო მხოლოდ შესაძლებელი ამიერ-კავკასიის კომისარიატის შექმნა. როდესაც ოსმალეთის ფრონტიდან მოაწვა საქართველოს და მთელ კავკასიას ნახევარი მილიონი დამარცხებული და გაბოლწმენიკებული ჯარი, ნოე ყორდანიას ენერგიულმა და ჭკვიანმა ზომებმა და ასეთმავე ზომებმა კავკასიის ყველა ერთა მეთაურობისა შესაძლებელ ჰყო ამ დაშლილი მხედრობის შინ გაგზავნა და ამით ანარქიის თავითგან აცილებს, რომელსაც შეეძლო მთელი კავკასიისა სრულიად დაეღუპა. ესეც იყო დიდი საქმე, ნოე ყორდანიათგან ქმნილი საქართველოსათვის 1917 წელს, რაისათვისაც მთელი ერი, განურჩევლად კლასთა, მის მიმართ მაღლით იყო აღსაესე.

1917 წ. აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ჩაყარა საფუძველი ქართულ უნივერსიტეტს, და დაარსდა ქართული ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე ნოე ყორდანია იყო. ეს საბჭო შთანაჩენი იყო მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობისა. იგი შექმნილი იყო მთელი ერის ნებით, რომელსაც ნოე ყორდანია თვის მეთაურად სცნო. ამან კვლავ დაუზრუნა ქართველ ერს მისი დიდი ნაწილი, პოლიტიკრად შეგნებული მშრომელი კლასები. ქართველი ერი ახლა ერთი იყო. და საქართველოს თავად - ახნაურობამაც ამ კვლავ გამართლებულ ერს მთელი თვისი ქონება გადასცა, რაც მას ეკუთვნოდა კოლექტიურად. ეს იყო მისი კეთილ-შობილური პასუხი ნოე ყორდანიათგან ერთ-ერთულ აქტზედ.

შემდეგ, 1918 წელს, საქართველოს და სხვა ქვეყნებს კავკასიისა, — სომხეთს, ადერბეიჯანს, მთას, — სრული მესაძლებლობა მიეცათ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნისა, როდესაც დაიშალა ამიერ - კავკასიის კო-



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი  
ნოე ჯორდანი

2 იანვარი 1868 წ. — 11 იანვარი 1958 წ.

**NOÉ JORDANIA**  
Président de la République de Géorgie

მისსარისტი. და ეს არ იყო მხოლოდ იძულება გარეთვან, როგორც ზევრა ჰგონია, არამედ გამომჟღავნება მათი პოლოტიკური ნების - ყოფისა. — 26 მისის 1918 წელს გამოაცხადა საქართველომ დამოუკიდებლობა ას - ჩვიდეთი წლის პოლიტიკური მონობის შემდეგ, და მის მაგალითს კავკასიის სხვა ერებზე მიჰყენენ. ნოე ჟორდანი იყო მამინ ქართველი ერის ხელმძღვანელი და იგი გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი და თავმჯდომარე მისი მთავრობისა. მუ არ ვიცი, ვინ შესძლებდა ნოე ჟორდანიას გარდა მამინდელ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელი მისხედ უფრო დიდი ნაციონალისტი, არა - სოციალისტი, ან თუ გამოაცხადებდა, როგორ იქმნებოდა შესაძლებელი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, თუ მის არ იწამებდა ნოე ჟორდანი და მისგან ხელ-ძღვანელი მშრომელი კლასები, რომლებიც ქართველი ერის დიდ უმეტესობას შეადგენდენ? საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნოე ჟორდანიას და მისი პარტიის თანხმობის გარეშე სანოქალაქო ომი მოჰყვებოდა და დაამხოდა ახლად შექმნილ სახელმწიფოს.

ხოლო ნოე ჟორდანიას მთავრობა მისი ხელმძღვანელობით ენერგიულ ღვაწლს შეუდგა სახელმწიფო აღმშენებლობისა. დამოუკიდებელმა საქართველომ 1921 წლამდე იარსება, და რაც ამ მოკლე დროის განმავლობაში საქართველოში გაკეთდა, იმაზედ მეტი უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბევრ ახალ სახელმწიფოში არ გაკეთებულა. დავანებოთ იქ თავი კრიტიკას. მას არაფიქროს მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელობა აქვს იმას, რაც შეიქმნა მოკლე დროის განმავლობაში და საფუძველს უყრიდა საქართველოს ბრწყინვალე მომავალს უკეთეს პირობებში.

ძნელი იყო კრიმინალური, განსაკუთრებით ბოლშევიკური ელემენტების ალღამვა, მაგრამ მთავრობამ ამ სიძნელესაც სძლია სწრაფად და არა დიდი სისხლის ღვრით. საქართველოს ფიქრადაც არ მოსლვია მეზობლებთან ბრძოლა, მათგან რაისამე წაგლეჯა, მთავრად თუ თავს დაესხმოდენ, იგი თავს იცავდა და იმარჯვებდა. დამყარდა მშვიდობიანობა და წეს - ჩრივი შიგნით და თანხმობა მეზობლებთან, რომლებიც ფასსა სდებდენ საქართველოსთან მეგობრულ განწყობილებას. უკვე სჩანდა შესაძლებლობა კავკასიის ერთობისა, კავკასიის ერთა კონფედერაციისა, და

ეს იყო მესამე დიდი საქმე, რომელთანაც ნოე ჟორდანიას სახელი იყო დაკავშირებული.

კიდევ ერთი რამ მათგანდებდა, რაც ჩემთვის დაუვიწყარია და საამაყო, და აგრეთვე ყოველი ქართველისათვის დაუვიწყარი და საამაყო უნდა იყოს. ყველამ იცის, თუ რა გრძობებს იწვევს ერთი მისი დაპყრობა უცხო ერის მიერ, ეროვნული ჩაგვრა, გამორიცხვა თავისუფალ ერთა კრებულისათგან. ცარიტულმა რუსეთმა, მოწვეულმა საქართველოში მოკავშირედ და დასცველად, საქართველო, ორი - ათასი წლის ისტორიისა და მაღალი კულტურის მქონე, გუბერნიებად გარდაჰქმნა და 117 წლის განმავლობაში გამარუსებულ პოლიტიკას აწარმოებდა, მოსპო ბაგრატიონთა დინასტია, რომელიც 1200 წლის განმავლობაში ემსახურებოდა საქართველოს, მოსპო დამოუკიდებლობა მისი ეკლესიისა, კანონიურად ცნობილი უკვე იმერვე საუკუნითგან, სდევნიდა მის ენას და კულტურას, სკოლებითგან და სასამართლოებითგანაც განდევნა ქართული ენა, და სხვა.

რომელი ერის გულში არ დაგუბდებოდა სიძულვილი მჩაგვრელთა და დამამკვირვებელთა მიმართ და რომელი ერის არ იძიებდა მათ შურს, თუ ამისი შესაძლებლობა მიეცემოდა? ხოლო დამოუკიდებელ საქართველოში არ მომხდარა არც ერთი აქტი შურის - ძიებისა იქ დარჩენილ რუსთა წინააღმდეგ! პირ-იქით მათ სრული უფლებები მიეცათ საქართველოს მოქალაქისა, და ბოლშევიკებისაგან დევნილი რუსებიც საქართველოს აფარებდენ თავს, სადაც ივინი ძმური მიღებას და დანმარებას მოელოდენ. და არც ერთს რუსს, ჩვენ ქვეყანაში მცხოვრებს, ან შემოიხიზნულს ეს მოლოდინი არ ვაცრუებთ. ასეთივე იყო ქართველთა დამოკიდებულება რესპუბლიკის ყველა არა-ქართველ მცხოვრებთა მიმართ. ამ მხრივ ნოე ჟორდანიამ განაგრძო საამაყო ტრადიცია ქართველი ერისა, რომელსაც არ უყვარს სისხლი, განსაკუთრებით სისხლი უდანაშაულოთა და უსუსურთა, რომელსაც მუდამ ჰქონდა სხვა ერთა პატივისცემა და შორს იყო მისგან სიძულვილი მათი და შურის ძიებისა ან სამაგიეროს ვადახდის გრძობა თვით დამნაშავეთა მიმართ.

ნოე ჟორდანიას ღრმად უყვარდა თავისი ერი და მისი კულტურა. მახსოვს, შარშან ლევილში რომ ვიყავი, პატარა გუნდმა შევნიერი გურული სიმღერები მოგვასმენია. მე ნოეს გვერდში ვიჯექი და ვუსმენდი. მოხუცი აღელოდა, ხელის მოძ-



დიდი საფლავის წინაშე

მომიტყუე, დიდო ნოე, თუ მეს, არც პოლიტიკურმა შოლევაცემ, არც მწერალმა და არც უპრინციპული, შენი საფლავის წინაშე ვერ შევსძელ შესაფერად გამოვთქვა ჩემი გულის აკუნესება, რომ უკანასკნელად გითხრა საწუღამო მშვიდობა. შენი ამა სოფლითგან განსვენების ორი დღის წინ, ჩვენ ხანგრძლივ საუბარში, არამც თუ ვერ ვიგრძენი, რომ უკანასკნელად გხედავდი, პირიქით, ისე კარგად ჰგრძნობდი თავს, რომ სულ გამეფანტა ის უცნაური წინაგრძნობა, რომელიც ატყდა ჩემს და შენ სანახევად შომიყვანა.

ორი დღის შემდეგ ვნახე დიდი მოხუცი მიწიერი ელემენტებისაგან შეგებული, მის თეთრ ლოგინში, ახოვანი ტანით, მძეფრი სიდიდით, თითქოს ამ და იმ ქვეყანასაც შეჩვეულბოდა, მისტიურ იდეოლოგიაში ჩასძინებოდა. თავმოყვარე ქართველები უთუოდ ანაყოზდენ თავის რასის ასეთი მშვენიერი წარმომადგენლით...

ვიცი, მცირე ადამიანის ბუნებას უყვარს მიაფაროს ჩრდილი ყოველსავე დიადს, რომ იმით დასწიოს ძირს და თავის დაბალ დონეს მიუახლოვოს. მაგრამ ნოე ჟორდანიას ძირს ჩამოწევა ძნელი არის.

ჩემი ნაცნობობა განსვენებულთან ეკუთვნის მის ღრმა მოხუცებულობის ხანას, უკანასკნელ შვიდ წელს. რაც მტკს უახლოვდებოდი და ეცნობოდი მის პოლიტიკურ, რელიგიურ და ოჯახურ შეხედულებებს, მით უფრო განცვიფრე-

ბული ვრჩებოდი; განცვიფრებული იმიტომ, რომ მისი მსჯელობა და მოსაზრებანი სულიერ სამყაროზედ, საარწმუნოებაზედ (რამაც მასთან დამახლობა), სულ სხვა იყო, ვინემ ეს გაგონილი მქონდა. პარიზელ ქართველთა ახსოვთ აღბათი მისი შესანიშნავი მოხსენება, საქართველოს აქრისტიანების 1500 წლის თავზე წაკითხული. ამ მოხსენების შესახებ ფრიგოლ კობაქიძე გვწერდა: „წავიკითხე ნოე ჟორდანიას სიტყვა „ნიონობას“ წარმოთქმული პარიზის ქართველთა სათვისტომოში. გავოცდი: რა ღრმად ჩაძირულა ქართული ყოფის ფესვებში! ბახოვენ — აღმომჩინე მატრიარქატისა და ძალგვანი მკვლევარი შითოსთა — ცოცხალი რომ იყევს, ნოე ჟორდანიას „სიტყვას“ შეიტანდა უთუოდ თავისს მონუმენტალურ გამოკვლევაში“-ო.

ერთხელ მასთან საუბრის დროს სიკვდილის პრობლემას შევხვით. მე მოუყვანე გოეტეს საუბარი ეკვირმანთან სულის უკვდავების შესახებ. უამბე, თუ როგორ ახსნა დიდმა მწერალმა ჩამავალი მზის მაგალითით სულის უკვდავება. წაუკითხე: მზე ჩადიოდა, გოეტემ შეჰხედს ბნელსკენ მიმავალ მნათობს და ეკვირმანს შეეკითხა: „ბნელს ჩამავალიც ხომ იგივე დარჩება მზეო? როცა ადამიანი 50 წელს გადასცდება, განაგრძო მან, ხანდა ხან სიკვდილზე დაიწყებ ფიქრს. მე ეს ფიქრი არც ისე მამფოთებს, რადგან გულდინჯად დარწმუნებული ვარ, რომ სული ჩვენი შევსტესტოვო ბუნებისა, იგი მა-

რობას აყოლებდა სიმღერებს და ეტყობოდა თვითონაც გულში მღეროდა. როდესაც გუნდმა სიმღერები გაათავა, ჟორდანიას ცრემლები წამოუვიდა, თქვა: „რამდენი ხანია რაც გურიაში აღარ ვყოფილვარ და ეს სიმღერები აღარ მომისმინია“-ო. სწრაფად ადგა მიმედ ჩაფიქრებული და ჩქარი ნაბიჯით გავიდა განსვენებული სიმონ წერეთლის ქონთგან, სადაც გუნდი იმღეროდა, და გაემშურა თავის ბინისაკენ.

სამ წელიწადს გაძლო მხოლოდ დამოუკიდებელმა საქართველომ, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად იყო ცნობილი მრავალ სახელმწიფოთაგან; და მიუხედავად იმისა, რომ იგი საბჭოთა რუსეთმაც იცნო, მანვე დაიპყრა იგი ვერსულად თავსადსხმით 1921 წელს. ნოე ჟორდანიას მთავრობა ეფროპაში გადმოიხვეწა და აქეთგან განაგრძობდა ბრძოლას მტრის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლას შეაღია ნოე ჟორდანიამ მთელი მისი ენერჯია, და აქაც ღრმა პატრიოტ-ცემა მთიპოვა მან ყველას წინაშე, ვისაც სწამს ერთა თავისუფლება და ყოველგვარი მონობის წინააღმდეგ იბრძვის. ღრმად მოხუცებულსაც არ შეუწყვეტია მას ეს ბრძოლა. დღეს იგი აღარ არის, დაუღალავი მებრძოლი თავისი ერის თავისუფლებისათვის და თვის იდეალთათვის, მისგან ქნილი დიდი საქმეებით შესარულა რა ის ვალი, რომელიც მას დაადგა მისმა ერმა და მისმა რწმუნამ.

ნოე ჟორდანიას აჩრდილთა სამეფოში შესვლით დასრულდა ერთი დიდი ეპოქა საქართველოს ცხოვრებისა. — „ანერ აპეთანე!“ მაგრამ სახელი მისი საუკუნოდ დარჩება ქართველი ერის მესხიერებაში.

მიხეილ წერეთელი



რადღეამობიდან მასრადღეამობამდის აცრცელებს ზედგავლენას თაფისას, და სული ემსგავსება მზეს, რომლის ბნელში ჩასვენება ჩვენს თვალს ეჩვენება სოლმე, არსებით კი ეს მნათობი აროდეს ჩაეშვება ბნელში, იგი დაუცხრომლად განაგრძობს სხივების ფრქვევას“. ცოტეცს ეს ბრძნული აზრი ძალიან მოეწონა ნოეს და იმდენად, რომ შემდეგ შეხვედრების დროს რამდენჯერმე გაიხსენა.

— ახლოგაზრდობაში წანიკითხავს ეს, მაგრამ მაშინ არ შეცალა ამ პრობლემებზე მეფიქრა; სულის უკვდავება შრწამსო, სთქვა მან.

ნოე უორდანისა ბედმა და ისტორიამ არგუნა დიდი ზედნიერება, რომ შეეღო დატყვევებული სამშობლოს კარები და აფრქვილებინა თაფისუფლების დროშა. მაგრამ იმავე ბედმა ამ დროშითვე ხელში, მას უცხო ქვეყანაში ხანგრძლივი ტანჯვა და სიკვდილი მიანიჭა. არა ერთხელ მქონია შენთხვევა მომესმინა, და ვიცი, რომ მას გარკვეული და უკომპრომისო შეხედულება ჰქონდა საქართველოს სუვერენობის ხელშეზღუდლობაზე და ისტორიას გადასცა შეუბღალავად ქართველი ერის თავისუფლების დროშა.

რაც მე ვიცნობ მას, იგი მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს უხმედობით იყო აცრემლებული და მისი ტკივილით ჰქონდა გული შეპყრობილი. ხშირად მინახავს მწარე ფიქრებით შეღონებული, თითქო დანტეს ჯოჯოხეთისა უფსკრულის სიღრმეში საქართველოს ვაება იხილავო. ამბობდა: „ჩემი ერი ისტორიაში გაუგონარ ტყვეობას განიცდიდა და მეც მასთან ვარ განუტყრელად ამ ტანჯვაში“—ო.

მაგარი, მტკიცე და წყნარი ნოე, ისეთი ტკბილი ღიმილით და სიმშვიდით შექმნდებოდა, რომ გეგონებოდათ, ლეთიური ჰარმონის მის გულში და მის ბიბლიურ სახეზედ თანასწორად იყო განსახიერებული და განფენილი...

დასაფლავება მისი დაბადების დღეს, 15 იანვარს მოხდა.

პარიზის ზამთრის მოღრუბლულში ცა თითქო თანაგვიკრძნობდა ჩვენ, უფლება აყრილ ბედის გერებს და გულსაკლავ პროცესიას კიდე უფრო ნაღვლიანს ჰხდიდა...

ნელა და ნიმეთ ეშვება სამარეში კუმბო, ისე მძიმეთ, თითქო წინააღმდეგობას იჩენს და არ ჰსურს უცხო მიწაში ჩასვენება.

მღრმარეთ დახარეს თავი საქართველოს სახელმწიფოს დროშებზე.

სამარის თავზედ ვიდექი. შეტორტმანდა სუ-

ლი. წარმოვიდგინე, თუ როგორ იქნებოდა ნოე უორდანია სამშობლოში დასაფლავებული. აქ არ გეცნოდა ძველი სიონის ზარების გუგუნის და არც მასა - დავითი აძლევდა მას ხმას.

პარიზთან ახლო მდებარე, ერთი პატარა სოფლის მიწამ მიიბარს საქართველოს წარჩინებული წვილის ცხვიდარი, ნაცვლად ჩვენი დედაქალაქისა.

დამწყდა გული და ავტირიდი.

ნინო სალია



**ნოე უორდანის ხსოვნის აღნიშვნა ამერიკაში**

ნოე უორდანისა ვარდაცვალება მეხვიით დაატყდა თავს აქ, ჩვენ იმიგრაციას. ყოველი ქემმარტი ქართველის გული შეაჩნია საქართველოს დემოუციდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის სიკვდილმა, რომელიც ცოცხალი სიმბოლო იყო საქართველოს სუვერენობისა და ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების დაცვისათვის ბრძოლისა!

ნოე უორდანისა გარდაცვალებას წამსვე გამოეხმაურა არა მარტო ქართველობა, არამედ შეერთებული შტატების პრესა და რადიო.

„ამერიკის ხმა“-მ, როგორც ქართულ, ისე სხვა ენებზე, გადასცა უწყება საქართველოს პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ. ქართულ ენაზედ კი რანოდენივეჯერი მოვისმინეთ ვრცელი საუბრები ნოე უორდანისა ვინაობისა და შოღვაწეობის შესახებ. ამგვარად, რადიოს საშუალებით, ეს ამბავი დაუყონებლივ ეცნო ქართველ ერს იქ... სამშობლოში!

ქართულმა სათვისტომომ ეს ეროვნული გლოვის დღე ღირსეულად აღნიშნა: 17 იანვარს, ბერძენტა კათედრალურ ტაძარში გადახდილი იყო სასულიერო პანაშვიდი. 25 იანვარს, პოტელ „კომოდორ“-ში, შესდვა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელიც მოკლე სიტყვით ვახსნა სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბ. ლევან დუმბაძემ. ქართულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა უხუცესმა ქართველმა,—ბ. გრიგალ დიასამიძემ. ინგლისურ ენაზე სიტყვით გამოვიდა ბ. მერაბ კვიციანი. ამის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მოძვე ქრებოს წარმომადგენლები: სომეხთა, აზერბეიჯანელთა, შთიელთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ებრაელთა, პოლონელთა და სხვათა.

„ბედი ქართლისა“ კორესპონდენტი ამერიკაში.



ი ნ ტ ა რ ვ ი უ ბ რ ი ბ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ე ს თ ა ნ

საშინელი ხანაში ეცხოვრობთ. მსოფლიო მოსალოდნელ და მოულოდნელი მოვლენათა სათა-მაშო ასპარეზს წარმოადგენს. ვანჭვრეტა უამთა ცვლილებათა არავეის ძალუძს. კაცობრიობას დღეს არ ამოძრავებენ დიდი, სასწაულ-მომქმედი იდეები. ღეთაებრივი ცეცხლი ყველგან კლავსულობს. დაუცხრომელი დემონი მთელ სა-მყაროს დაუფლავით ემუქრება...

მსოფლიო ჭიდილის განუზომელი აჩუხე, ჩვენც გვაქვს მოკუთენილი ერთი ადგილი და სწორედ აქ გვმართებს გამოჩენა გონიერებისა, ქართული საუკუნოვანი გამოცდილებისა და სიბრძნისა, რომ ნიაღვარმა არ გადაგვქელოს და არ აღგვაგოს პირობიდან მიწისა. იტული ვიკვდება და სასოწარკვეთილება ვიპყრობს, რადე-საც წარმოიდგენ ნამდვილ სურათს ჩვენი მდგომარეობისა. „ზვირთებში დაცურავთ ტლუ ნავით უღზოდ და უკვალოდ“. მართლაც რომ ვხაკვალი დაგვებნა და ჩვენი ისტორიული მოვალეობა დაგვაგვიყდა. დღემდე ხომ ვასრულებდით მას ერთად, შეთანხმებულად, დინჯად და მოფიქრებულად! დღეს კი, ისეთ შეცდომებს ვუშვებთ, ისეთ მიუტევებელ დანაშაულს ჩავდივართ ჩვენი ერის მიმართ, რომ თუ დროზე გონს არ მოვედით, ჩვენ ვერ ჩავწერთ სასახელო ფურცლებს ემიგრაციის მიერ წარმოებულ საქართველოს განმთავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში. ევრავითარი მჭერმეტყველობით ვერ დავმალავთ შეცდომას, ჩვენ მიერ დაშვებულთ, და ვერც ლამაზი ჩადრით დავფარავთ ცოდ საქმეთ, ჩვენ მიერ ვაკეთებულთ.

ჩვენთვის ასეთი მწვავე და საბედისწერო დროს, სრულიად ბუნებრივია, რომ განძრახვა მომივიდა ვესაუბრო ჩვენ წარჩინებულ, გამოცდილ უფროსთ და მათი ნაფიქრალი და აზრი გადავცე „ბედი ქართლისას“ მკითხველთ. ამ მიზნით ვესტუმრე პირველად დიდ მწერალს, ქართველი ერის თაურმდგენის მესაიდუმლეს, **გრიგოლ რობაქიძეს**, რომელიც სისამოვნებით დასთანხმდა მივაწოდო ჩვენი ჟურნალის საშვალეებით ქართველ საზოგადოებას მისი შეხედულებანი, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას ვუცხადებ.

**კ. ს. ბატონო გ რ ი ბ ო ლ**, თქვენ თვითონ იცით, თუ რა დიდი დანაკლისა ჩვენთვის გარდაცვალება საქართველოს პრეზიდენტისა:

**ნოე უორდანიასი.** საინტერესოა თქვენი აზრი განსვენებულის შესახებ.

**გ. რ.** ნოე უორდანიას საქართველოს თავდაღ-სავალში ფრიად მნიშვნელოვანი და ამდენადვე რითული მოვლენაა. ჩემი აზრი ამ მოვლენის შე-სახებ გამოვთქვი მოკლედ ჯერ კიდევ 1920 წ., როცა გაზეთში „ბაჩიკადა“ ნოე უორდანიას ლიტერატურული პორტრეტი გამოვაქვეყნე. იქ განთქმული აზრი ჩემში შემდგომ კიდევ უფრო განმტკიცდა. უკვე დავამზადე ვრცელი წერილი „ნოე უორდანიას როგორც მამულიშვილი“, რომელიც თავის დროს „ბედი ქართლისაში“ გამო-ქვეყნდება. ვამბობ „თავის დროს“ — რათან თქმაც შესაფერ დროს მოითხოვს.

**კ. ს.** რას ფიქრობთ თქვენ ქართული საქმის ირგვლივ დღევანდელ პირობებში?

**გ. რ.** ქართული საქმის გაგება მოითხოვს სა-ქართველოს გაგებას. საქართველოს გაგება მო-ითხოვს თავის მხრით გაგებას ცნებისა „ხალხი“.

**კ. ს.** საინტერესოა მოსმენა თქვენი განმარტე-ბისა ცნება „ხალხის“ შესახებ.

**გ. რ. ხალხი** — ეს ევროპაშიდაც არაა უკანას-სქნელი სიღრმით ვარკვეული. ხალხი არაა ამა თუ იმ დროს სტატისტიკით აღრიცხული გროვა ცალკეულთა—იგი ცოცხალი არისა ზებიროვნუ-ლი ბუნებისა. არსად არცხადდება ეს ისე მკაფიოთ როგორც ენაში ი. იტყვის რომელიმე ქართველი მწიგნობარი, მაგალითად „დავით აღმაშენებელმა განამტკიცა ხელომწიფება ქართველთა“. ამხვე დროს ქარ-თველი დიასახლისი ამბობს: „შვილო, ფქვილი გამტკიცე“. იქაც და აქაც ერთიდაიგივე სიტყვაა, „მტკიცება“, პირველ შემთხვევაში ხმარებული მნიშვნელობით „გამაგრებისა“, მეორეში კი მნი-შნელობით „განწმენდისა“. ვამოდიხ: რაც გან-წმენდილია „მავარია“ და რაც მავარია „განწმენ-დილი“. აზრი უღრმესი: თუ ნივთიერი ელემენ-ტი შეხავებისას დაწმენდილი არაა, მისგან ვა-მოყვანილი ფოლადი უღრუო არ იქნება, ე. ი. „მავარია“. (როცა ვამბობ ხოლმე, ქართული ენა უყენიალესი ქმნილებაა ენათა შორის—მეთქი, ვგულისხმობ ამ შინა-აზრს.) ვინ იაზრა ეს აზრი? რომელიმე გიორგიმ, რომელიმე დავითმა? ყო-ველ ვიოგის და ყოველ დავითს წინ ზედება იგი უკვე ვაზრებულთ. ავტორი ამ აზრისა — ხალ-ხისა, ამ შემთხვევაში ქართველი, ხალხი ადამიან-ის სხეობაა. ეს დებულება მომდინარეობს ძვე-



ლთა-ძველი ცნებისაგან „მარადი ადამიანი“. ეს სწავლა მიიჩქმალა საუკუნეთა სვლაში, სამწუხაროთ, საქა თუ იქ იძლევა ხოლმე იგი დროდადრო. Antoine Fabre d'Olivet-ემ გენიალურად გაანმარტა ადამი, წიგნში „ებრაული ენა“, 1815, როგორც „უნივერსალური კაცი“. „გენიალურად“ ნიშნავს აქ: პლატონურად. ადამი პლატონური ცნებაა. ჩვენი დროის სახელმწიფოთმცემელი ფსიხოლოგი C. G. Jung-ითუმცა იგი გაურბის ყოველგვარ მძეტაფიზიკას, იძულებულია გამოიყენოს კვლევასა ეს ცნება. იგი ამბობს: რომ შეიძლება განპიროვნება **შეუცნეველისა**, ეს იქნებოდა კოლექტიური კაციო, რომელიმეც ვინილავდით მიილიონ წელთა მანძილზე ვიზიტუალური სახით ყოველ რასასა ყოველი ხალხს ყოველ ტომს ყოველ გვარს ყოველი ინდივიდსა“-ო. ეს „კოლექტიური კაცი“ სხვა არ არის არა, არა იცა იგივე „ადამი“. ქართულ ენას ზემოთქმული ერთს სიტყვაში ჩანოუსხამს: „**ადამიანი**“. „ადამი“-ანი ნიშნავს: კაცი, რომელსაც შინაგან აქვს „ადამი“. ვიტყვით ხომ: „კუდი“-ანი, „ბარდი“-ანი, „მუნი“-ანი და სხვა. „ადამიანი“ ადამისაგან წარმოშობილს კი არ ნიშნავს—არამედ ცალკეულს, რომელშიც „ადამისა“. სხვათა შორის, მხოლოდ ამ განმარტების გასწვრივას შესაძლებელი ნამდვილი გაგება ბაგრატიონთა თქმისა: „ჩვენ დავითიანნი“. ვანა ეს იმას ნიშნავს, როგორც ჰეონიათ, თითქო ბაგრატიონთი ებრაული მეფის დავითისაგან გამოიყვანდა მათი წარმოშობა? არა, ისინი აქ სული სხვა რამეს იგულისხმებდნ.

კ. ს. შეიძლება განმარტოთ, რას?

გ. რ. სახარებაში ქრისტე იწოდების როგორც „ძე ღვთისა“ და როგორც „ძე კაცისა“. როგორც „ძე კაცისა“ იგი მოველინა ქვეყანას მეფე დავითის გეარის ხაზით. ბაგრატიონთ იყი მძაფრად სწამდათ ქრისტე, როგორც „ძე ღვთისა“, რომ მას, „ძეს კაცისა“, ამ ხაზით იგულებდნ. აქეთგან „ჩვენ დავითიანნი“.

აქ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ: არ განეცადა პლატონს ლერმესად „ადამიანი“, როგორც ეს გაუგია ქართველთა გენიას, იგი ვერა რომელი სხვა გზით „მიავონებდა“, ი. ი. მისგნებდა **იდეას**.

ამრიგად, „ხალხი“, როგორც ცოცხალი არსი კრებითი პიროვნებაა. „მოლად“ არ ელინდება იგი არც ერთს ხანაში — ხოლო ყოველ ხანაში იგი „ივივა“. სხვანი იყვენ ქართველნი მაგალითად მეთათხთმეტე საუკუნეში, სხვანი ვართ დღეს ქართველნი — გარნა ისინიც და ჩვენც ერთ-

თნი ვართ და ივივენი: ქართველნი. რაც ერთია და ივივე ქართველებში: ეს ქართველი ხალხია. ვითარ ცოცხალი არსი იგი მითიურ პიროვნებად გვევლინება, რომლის სახელისა **ქართუ** ანუ **კარდუ**. აქეთგან: ქართული, ქართველი — ანუ: კარდული, კარდელი. (აქ ნათქვამი ჩემს ახალ წიგნშიც საქართველოზე, ფრანგული თარგმანი მზადაა — არის მოქცეული. ვისაც ჰსურს კონკრეტულ წვდეს ჩემს შეხედულებას, მან უნდა მიმართოს გოეტქეს სწავლას თურ-მცენარეზე. გოეტქური ხილვა საგნისა ინდოეთშიც იყო ცნობილი, სახელით: „ლინგა - შარირა“.) წარმოიდგინეთ: რომელიმე ხალხში ვაწყდა ძველი ხალხის ამგვარი შეგნებისა. რიცხვით ასი მილიონი ცი რომ იყოს, იგი გადამწენებისაგან მიდის.

კ. ს. შე თქვენ შეგეკითხეთ, რას ფიქრობთ თქვენ ქართული საქმის ირგვლივ დღევანდელ პირობებში. რაც თქვენ ბრძნეთ, უაღრესად მნიშვნელოვანია და საინტერესო, მაგრამ ის არ უბასუხებს კონკრეტულად ჩემს შეკითხვას.

გ. რ. თუ ამრიგად არ იქნა „ხალხი“ შეგონებული და შეგონებულისა, მაშინ ყოველი ცდა ხალხის საქმის მოგვარებისა ყოველ პირობებში მრუდეთ წავა. როცა დღეს, ჩვენ ქართველნი, რომელიმე კონკრეტულ საქმის გასაყვანად ვიბრძვით, ზემოთქმული არ უნდა გამოგვეპაროს თვალახედვიდან. თუ ასე იქნება შეგონებულისა და შეგონებულისა „ხალხი“, მაშინ აზრთა სხვადასხვაობა პოლიტიურ დარაზმულობათა არ იქცევა გამთიშავ უთანხმოებად.

1917 წ. „ეროვნულ ყრილობაზე“, საცა საძირკველი ჩაყარა მისის 26, ასეთი მთლიანი გზნება ხალხისა სუფედა. ეს ემიგრაციაში დღეს დარღვეულია.

თუ ქართველთა პოლიტიურ დარაზმულობათა ურთიერთშორის არ განიფნა ის სულიერი ატმოსფერო, რომელიც სუფედა იმ ისტორიულ ყრილობაზე, ქართული საქმე უკუმართლად წავა.

კ. ს. თქვენ აღბათ: წაკითხული გქნებათ წიგნაკი „**საქართველო - ვერობა**“, განოცემული ქართული ექრობიული მოძრაობის თაოსანთა მიერ. თქვენ, როგორც მწერალი შესული ხართი ექრობაში და ღრმად ვაგეგმბათ იგი. დიდად საინტერესოსა ვაგვაცნოთ თქვენი აზრი იმ წიგნაკში გამოთქმული დებულებების შესახებ.

გ. რ. დიახ, ეს წიგნაკი წავიკითხე. წავიკითხე დიდი ინტერესით და დავუმატებ: დიდი სიხარულით. პოლიტიური კონცეპტი, იმ წიგნაკში გა-



ყვანილი, უკანასკნელად მხვედრია დღევანდელი ისტორიულ პირობებში. ამ კონცეპტით თქვენ შეგიძლიათ დაელოპარაკოთ როგორც რუსეთის, აგრეთვე ოსმალეთს, ასევე ყველა სხვა ხალხთა — ყოველგვარი „ფსახოლოგიზმის“ აცილებით. საქართველოს დღევანდელ საქმისათვის ეს კონცეპტი პირდაპირ ზეგამოჭრილია. ამავ, დროს ეს კონცეპტი დღევანდელ ისტორიულ ძალებს გაუადვილებს ამ დარგში საქმიანობას.

**კ. ს.** დღეს ჩვენი იმიგრაციის წინაშე დგას მეტად მწვავე საკითხი: რუსებთან ურთიერთობის ირგვლივ, რას გვეტყვი ამის შესახებ?

**გ. რ.** საქაც საერთოდ უნდა გიპასუხოთ, თუ რას ვფიქრობ რუსეთზე. ჩემთვის ყოველი ხალხი სხეობაა ღვთიური მრავალსახიერებისა. ასეთია რუსი ხალხიც, რუსთა გენიის ძლიერება ცხადდება: რწმენაში, ლიტერატურაში, მუსიკაში, სიმღერაში, ვალობაში, თეატრში, ბალეტში. ხელმწიფებაში? ვლადიმირ ვეიდლე, გარუსებული ბალტიელი ალბად, ამბობს რუსებზე:

«Cette résignation à ne rien faire, lorsqu'on ne peut pas faire tout, ce mépris de n'importe quel bien qui n'est pas le bien Suprême, ils sont pour la Russie une Source de Grandeur, et aussi une cause de ruine» («La Russie absente et présente»).

ფორმულა ზეგამოჭრილია. რუსეთის მმართველთ რომ შეეგნოთ ეს ხაზი რუსული ბუნებისა, მაშინ მათი ხელმწიფება სულ სხვა გეზით გაიმართებოდა: ფსევდო - იმპერიის მაგივრად „საკრალური მეფობა“ განამტკიცებდნენ. (ხალხი, როგორც ზებრიოვნული. არსი, ვერა ნახულობს ხშირად ცალკეულში თავისს ნამდვილ მსახველს. მეთაურის დანიშნულება სწორედ ისაა: მიაგნოს ხალხის შუაგულს და შეიგნოს იგი. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველ ხალხს, როგორც ყოველ არსს, თავისი საკუთარი საფრთხე აქვს. მეთაურის საქმეა: განსჭვრიტოს ეს საფრთხე, რათა დაიურქოს იგი. აი ნამდვილი ფორმულა მეთაურის დაფასებისათვის). ეს მით უფრო ადვილი იქნებოდა, რომ მათ წინ არ იდგა ის გარდაუღლახავი სიძნელე, რომელიც აღნიშნა იერმანელ კაიზერთა წინ ამგვარივე მეფობის გამართვის ცდაში: კათოლიკური ეკლესიის კონცეპტით პაპი „ნაცვალია ქრისტესი“ ამ ქვეყნად და როგორც ასეთი სპირიტუალურ უფლებას ვერ დაუთმოდა მფლობელს ამ ქვეყნიური ძალისა — რუსეთის ეკლესია, მართლმადიდებელი, კი ასეთს „ნაცვალს ქრისტესი“

არა ცნობს. დავუმატოთ ანას ისიც, რომ რუსი ხალხის წიაღში მეფე წარმოსახული იყო მუდამ ვითარ „კურთხეული“. შეიგნეს ეს რუსეთის მეფეებმა? „საკრალური მეფობის“ განვრცობის მაგიერ მათ იწყეს იმპერიალისტური ექსპანსია, რისათვის მათი არა გააჩნდათ ნიჭი არც რომაელთა და არც ბრიტანელთა. ამა შითხარით: რომელი რომაელს ან რომელ ბრიტანელს მოუვიდოდა აზრად ეს უაზრობა: ეთნიური გადაგვარება იმპერიაში მოქცეულ ხალხთა? რუსეთის იმპერატორების პოლიტიკა კი რუსისფიკაციის ხაზით იყო მიმართული. შექმნა ამ პოლიტიკამ იმპერია? უთუოდ — ვარსა ერთი განსაზღვრით: იმპერიული განვრცობა აქ სიმსივნედი იქცა, ვთქვათ ევროპიული სიტყვით: „ველფანტიაზისა“ — ად. ეს აშკარა გახდა ყველასათვის რუსეთ - იაპონეთის ომის დროს.

დავანებოთ თავი ყველაფერს — განვიხილოთ არსებითად საქართველოს დაკავშირება რუსეთთან. დავუშვათ ერთი წუთით: რუსეთის მეფეებს არა გაუუქმებიათ საქართველოს სამეფო. რა იქნებოდა? რუსეთის იმპერატორი იქნებოდა — გამოვთქვათ ფეოდალ ცნებით — «Lehnsherr», ქართველი მეფე «Lehnsmann»: პირველი — მფლობელი მოთავე, მეორე მფლობელი მომხრე, ორივე ერთი - მეორის მიმართ: რაინდი რაინდის მიმართ. როგორ იქნებოდა გამაგრებული რუსეთი აღმოსავლეთის ბჭესთან! რუსეთის იმპერატორებს მეფე ერეკლეს შორსჭვრეტა არ აღმოაჩნდათ: მათ უღალატეს საქართველოს — ამ ლალატიით თავის თავს უფრო უღალატეს.

**კ. ს.** უნდა მოგახსენოთ, ბატონო ვრიგოლ, რომ ჩვენ რუსებთან ურთიერთობის საკითხში გამყარებთ ჩვენ პოლიტიკას იმ ფაქტზე, რომ რუსი იმიგრანტების ყველა წრეები დღესაც იმპერიალისტურ იდეებს ეტრფიან და აქედან წარმოშობილ „ველიკოდერჟავნიჩესტვოს“ სენით არიან შეპყრობილნი, რაც ხდის შეუძლებლად მათთან თანამშრომლობას. ხოლო ახლა მთხოვეთ ერთი მიზრდანოთ: გამიგონია, რომ თქვენ განსაკუთრებული შეხედულება გაქვთ რუსეთის რევოლუციისზე. მასრთალია ეს?

**გ. რ.** ჩემი აზრი რუსეთის რევოლუციისზე სრულებით სხვაა ვიდრე არსებული, სულ ერთია, არის იგი: ქართველთა, არა - ქართველთა, ევროპეელთა, ამერიკეელთა, სულ სხვაა, ვიდრე თვისთონ რუსთა. აი იგი მოკლე ფორმულით. თებერვლის რევოლუცია გამოვიდა დღენაკლული, ვინაიდან კერძისკებმა ვერ შეძლეს „მეფის



მითოსი“ შეენაცვლებიასთ სხვა მითოსით, ახალით. (1913 წელს შეგზვდი კერენსკისა. გავაფრთხილეთ: სწორეთ „მეფის“ საკითხში. ამის შესახებ ერთს ჩემს გამოუქვეყნებელ წიგნში.) დამარცხდა „უსისხლო“ თებერვალს, გამარჯვება „სისხლიანმა“ ოქტომბერისა. გამარჯვება, რადგან ლენინისა წამოაყენა დამხობილი „მეფის მითოსის“ ალბას სხვა მითოსი — მართალია ყალბი, მსგავს მინც „მითოსი“: და მითოსი ყოველგვარი გარდატეხისას არა თუ მნიშვნელოვანი, გადამწყვეტია.

**კ. ს.** როგორც მოგახსენებთ, ბატონო გრიგოლ, დღეს მსოფლიო ორ ფრონტად არის გაყოფილი: ბოლშევიკური და ანტიბოლშევიკური. რას ფიქრობთ თქვენ ამ ფრონტების შესახებ?

**გ. რ.** მე პოლიტიკოსი არა ვარ. ეს იმისა არ ნიშნავს, რომ იგი არა განეგებოდეს. ის მხოლოდ ჩემი საქმე არაა! მოგახსენებთ მოკლედ ჩემს აზრს: ბოლშევისტური ფრონტი შესანიშნავად იცნობს ანტიბოლშევისტურს. ეს არ იქმის ანტი ბოლშევისტური ფრონტზე.

**კ. ს.** მიუხედავად ამდენი გამოკვლევებისა, უამრავი წიგნებისა და სხვა?

**გ. რ.** სწორედ მიუხედავად ამისა.

**კ. ს.** მიკვირს, როგორ?

**გ. რ.** უამრავი გამოკვლევებია ბოლშევისტების, მრავალნებრივ მნიშვნელოვანია თითქმის ყოველივე მათგანი. ხოლო ვერ იციტყვი, რომ რომელიმე წვდებოდეს შუაგულს ბოლშევისტის ფენომენისა. ზოგიერთი ავტორნი, ჟმეტეს წილ დასავლეთიდან ცდილობენ ბოლშევისტის ძირები აღმოაჩინონ. საგანთან არიან ახლო, ხოლო, რუსები რომ იტყვიან, იდუტ მისთ ნეგო. ხდება ეს იმის გამო, რომ ამით სენი, რომელსაც მე ვუწოდებ „ბოლშევისტის“ არ განუცდიასთ. ესაგებია, თუ არა აქვთ მათ მეექვსე გრძნება, რაც აუცილებლად საჭიროა ბოლშევისტის შექმნილ ატმოსფეროს გაგებისათვის. სხვებს, ჟმეტეს წილ საბჭოეთითგან, განცდილი აქვთ ეს ავადობა, ხოლო მათ აკლიათ გონმეტყველური ანალიზი განცდათა. მრავალ ავტორთ საბჭოეთითგან, არ არის საჭირო ისინი დავასახელო, შეეძლოთ გონმეტყველურ ანხსნათ თავიანთი განცდანი, მაგრამ ამით დასტოვეს საბჭოეთი ჯერ კიდევ იმ დროს, როცა დემონიური ფაზა ბოლშევისტისა არ იყო დაწყებული.

**კ. ს.** ნება მიბოძეთ, ბატონო გრიგოლ, შეგვიკითხოთ, მამ თქვენ ფიქრობთ, რომ ორივე ეს გაქვთ, განცდაც და გონმეტყველური განჭვრეტაც?

**გ. რ.** უთუოდ. ამის საბუთი არის ჩემი რომა-

ნი, ამ ოცი წლის წინათ გერმანულ ენაზე გამოცემული: „ჩაკლული სული“, სადა, ასე რომ ვსთქვათ, მოლექულარულად არის განხილული, თუ რა ემართება ადამიანს ბოლშევისტურ არეში, სულ ერთია, არის იგი ბოლშევიკი თუ არა ბოლშევიკი. ალბათ ამით აიხსნება ის ამბავი, რომ ამ რომანში წინასწარ ხილულია მთანასახი ე. წ. საჩვენებელ პროცესსა.

**კ. ს.** კარგი იქნებოდა, მოკლეთ მინც განმარტავდეთ „ბედი ქართლისა“ -ს მკითხველებისათვის თუ რა არის არსი ბოლშევიკური სისტემისა.

**გ. რ.** ეს კითხვა გადაიტრება, თუ გადავჭრით პირველ ყოვლისა ერთ საკითხს, ვინ ბატონობს საბჭოეთში. გაგიკვირდებათ და ყველას გაუკვირდება ჩემი პასუხი: **ვინმე რომელიც არავინა.**

**კ. ს.** რას ნიშნავს ეს?

**გ. რ.** განმარტებისათვის ერთი საკითხს დავყენებთ. დამისახელოთ, თუ ვინდ ერთი პიროვნება, რომელიც თავისუფალი იყვეს საბჭოეთში. არა მარტო არაბოლშევიკურ, არამედ ბოლშევიკურ წრეებშიაც. ერთს ვერ დაასახელებთ. მოლოტოვი შეიძლება უფრო ძრწის იქ, ვიდრე უბრალო მოქალაქე. ერთად - ერთი გამოკლება არის ნხოლოდ სტალინი, მაგრამ ის სოსო ჯუღაშვილი კი არ არის, არამედ პიროვნული განსახიერება იმ უპიროვნო ძალთა, რომელთაც წარმოშეეს ბოლშევისტი. მისი სიძლიერე სწორედ იმამა, უნდა ვთქვა უფრო მეტი, ვიდრე ლენინისა, რომ მან შესძლო გადახტილება უბიო. ძალთა დენაში. საკმაოა ერთი წუთით, ერთი ასე ვსთქვათ **volte face**-ით ამოვარდეს იგი ამ ხტილითგან, რომ კვლავ სოსო ჯუღაშვილთა იქცეს, რომელსაც იშვეარადვე მოიცოლებს ის უპიროვნო ძალა, როგორც სტალინმა ნოცილა თვისი მოწინააღმდეგენი.

**კ. ს.** რა არის კონკრეტულად ეს უპიროვნო ძალა?

**გ. რ.** ამ საკითხის განხილვა ძალიან შორს წამიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ ერთს: სათავე ამისა არის ერთი მხრით „რაციონალ“ გადაგვარება გონისა (ესპრი). ძველი სწავლით თუ გონს თესლი აკლია და ისე ჩაწვეთა მატერიისა, იგი განაოყიერების მაგიერად იწვევს უკანასკნელში ვაკუუმს, სიცალიერეს, და ამით ქაოსს. აქ არის ძირები ყოველი ამოხეტიისა, არის ის ომი თუ რევოლუციის მერე მხრით, სათავე იმავე მოვლენისა არის დაშლა საკრალური წყობისა, რომელიც ქართველთა გენიამ ერთი სიტყვით განიხატა იდეაში: **ხელ-მწიფება.** აი აქ, შევიცარჩაში, სადა მე ამ

სიტყვებს გეუბნებით, დემოკრატია იმტიცეა და ურყევი. ხოლო ეს მომდინარეობს წმინდა შეფიცვისაგან შევიცარიელთა: «Rüttli Schwur». ეს ფიცია ძველ-ირბილი შევიცარიის დემოკრატია.

კ. ს. რა იმართება ადამიანს, რომელიც მოქცეულია ამ უპიროვნო ძალთა მიერ შექმნილ ატმოსფეროში?

გ. რ. იგი იხრწნება სულიერად.

ბოლშევიზმის გავლენა სულიერ არსში მეტად რთული მოვლენაა. იგი უფრო ატმოსფერულია, ვიდრე ფიზიურ ხელსახეობი. ჩემი «Gemordete Seele» უმთავრესად ამ ატმოსფეროს მხატვრული გადმოცემაა. ერთს მაგალითზე შეგვიძლია ნათელგეყოთ ამ ატმოსფეროს გავლენა. წარმოვიდგინოთ: ვინმე წხეცადქცეულმა გაქმა ძალა იხმარა ქალწულზე, რომელსაც თავისი სიქალწულე საკრალურად მიჰჩინა. წმინდათა - წმინდა უკანასკნელისა სამუდამოდ შელახულია, ხოლო სიცოცხლე მისი თავისი გზით მიდის მაინც. პატრიარქილი ქალწულის ქვეშევრდომი თვის იჩენს დროდადრო ერთი მეტად საიდუმლო და თან საგულისხმეო პრაქტიკა. ქალწულს უფლებებს ხანდახან ფიქრი: შესაძლოა სასწაული მოხდეს და მან კიდევაც შეიკვაროს პატივამყრელი. მაშინ? მაშინ მომხდარი თითქო არ მომხდარა და ქალწული აღარ იტანჯვის. იგი უახლოვდება თავის პატივამყრელს: დღითიდღე, თანდათან, თიქმის უნებლიედ, უახლოვდება, რადგან მოწადინებულია მასში რსიმე დადებითი ნახოს. ნახავს ასეთს რამეს, თუ გინდ სულ მცირეს, იგი აზვიადებს მას უზომოდ. პატივამყრელი რასაკვირველია უცვლელი რჩება, ქალწულს ხანდახან ეჭვიც ეპარება დასახლოებაში. ხოლო უკან დახევა მისთვის უკვე ძნელია. იგი ყანაგრძობს ერთხელ აღებულ გზას და ვერ ხედავს, რომ ყოველი მისი მიერ გადადგმული ნაბიჯი დასახლოებლად მხოლოდ უფრსკულისაკენ მიჰქანებს მას. მისი ასრი ორდება, მისი თვითების მოლიანობა ირდევს. იგი ასე ვთქვათ, გულწრფელია თავის ქცევაში ყოველ წამს, ხოლო არცერთს წამს ნამდვილი, ვინაიდან მეობა მისი გაზმარულია შინაგან.

საბჭოეთის მოქალაქე, არაბოლშევიკი, ასეთს ქალწულს გვაგონებს, იგიც გამხარულია და გაორებული და როგორც ასეთი, გულწრფელი და არა ნამდვილი (სენსერ, მე პა ვრე) ერთსადაიმადვე დროს. „საჩვენებ. პროცესები“ მანებელთათუ განხრილთა, ასე ვაცრელებულნი საბჭოე-

თში, ადასტურებენ მხოლოდ ამას. საოცარი და საცნაური ამ პროცესებისა აქ მარხია. ეს გაფიქრებული ქალწული ვერაოდეს იქცევა „ნამდვილად“, ესე იგი, ვერაოდეს მიიღწევს საყვარულს გამათუპატიურებელთან. მოკლედ მოვსტრი: ვერ იქცევა „სხვად“.

კ. ს. სავლე ხომ იქცა სხვად: პავლედ?

გ. რ. ეს მთავალით აქ მოსატანი არაა. სავლე იქცა პავლედ «Supra-Humain»-ის მიმართ. ეს მეტაფიზიური ქცევა აზრია ადამიანის ბუნებისა, რომლის ფესვი მეტაფიზიური არეშია. აქ კი, საცა ადამიანი ბოლშევიკური ხანით იხრება, სუფევს «Infra-Humain», გამანადგურებელი თვითონ ადამიანური თვითებისა. ადამიანი აქ ძირს ევება, დალატობს თავის თავს. ხოლო ამ დალატის თავის თავისა ბოლომდე გაყვანა შეუძლებელია. რა გინდ წარხდეს ადამიანი, მასში მაინც რჩება ნაბერწყალი მისი ღვთიური ცეცხლისა. ესლა აიღეთ საბჭოეთის ადამიანი. მასში შეტრიალია ბოლშევისტური ელემენტი, ხოლო ისე, რომ ამ ელემენტს ვერც შეუხრთქავს მისი ადამიანური ელემენტი და ვერც განუდევნია იგი. გრაფიულად ასეთი ადამიანი წააგავს არაბულ ციფრს „8“. ერთი ნახევარი ამ ციფრისა ბოლშევისტური ელემენტისა, მეორე კი ადამიანური. ამ ორი ელემენტთა შორის განუწყვეტელი ბრძოლა გამართული. ხშირად პირველი ერევა მეორეს — ვარნა მომრევი ვერ ადგენს მთლიანობას. გამოვთქვათ ესეც გრაფიულად: პირველი ელემენტი ვერ იქცევა წრედ: „0“. იქ რჩება კიდევ „8“-ის მეორე ნახევარი, თუ გინდ ვითარ სულ პაწა მაჭვი, შეიწრობელი და მიმწნარი. აქა მოქცეული გაორება, საბჭოელ ადამიანისა. აწვალდება მას თავში შემოჭრილი ელემენტი — ესლა მას აწუხებს თვისი საკუთარი, რომელიც ერთს წუთსაც არ უთიმბს უცხოს. მას აჯავრებს ეს და ვაჰკვიცის ისტერიულად: მე უკვე გარდაქმნილი ვარო. ვაჰკვიცის, რომ ამ კვილით ჩააჩუმოს ნელი, მაქრამ ულომბელი ხმა მიჩქალულისა: „ეს არ იქნებაო“. ასეთს ყოფაში ადამიანი ყოველ წუთს გულწრფელია, ხოლო არც ერთს წუთს ნამდვილი: „გულწრფელი“, თუ მას „8“-ის პირველ ნახევარში ვხედვთ — „არნამდვილი“, თუ მის მეორე დაკნინებულ ნახევარში ვუცქერთ. სენსერ, მე პა ვრე — ვიმეორებ ფორმულას. ხმა იგი — „არ იქნებაო“ — ბნელ ძალთა მატარებელთაც ესმით. აქეთგან ორი რამ. ერთი: მათ არ სჯერათ ბოლომდე აღსარება „მოქცეულია“ — მეფობს უნდობლობა. მეორე: იგი-

ნივე ქვეშეცნეულ ფრძობენ, რომ საჭმეს ბოლო-მდე ვერ გაიყვანენ—მეფობს **შიში**. აი ავადობა: „ბოლშევიტის“. ამ ავადობისაგან არი არიან თავისუფალნი თვითონ მხოლშევიტებიც. ამას ნათელჰყოფენ საჩვენებელი პროცესები“. ეხლა ნათელია, მეონისა, ჩემი ფორმულა: საბჭოეთში ბატონობს **ვინმე რომელიც არავინაა**. სახელგამოსი არის: **ლევიათან**.

აი: შედეგი, როცა ადამიანი დემონური ძალებთან შეგუებაში დათმობის გზას ირჩევს.

**კ. ს.** ბატონო გრიგოლ, არ შეიძლება ერთი მაგალითი მოიყვანოთ ამგვარი დათმობისა?

**გ. რ.** ავიღოთ მთავალითად რომანი კონსტანტინე ივანოვიჩისა: „დიდ ოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“. ეს რომანი ლიტერატურულად გაცილებით უფრო უკეთესია, ვიდრე მისივე „დიონისეს ღიმლი“—ყოველ მხრით. შეგვხვით ახლა „დათმობას“. რომანში გამოყვანილია ერთი ფეოდალი, მეფის მოწინააღმდეგე, რომელიც აგრეთვე ეკლესიასაც ებრძვის, რადგან განხრის წარმართობისაგან—(და ეს მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს!). მეფეს უნდა თავითგან „მოიცილოს“ იგი, ეკლესიას ჰსურს მოიგოს მისი ცუელი. იმართება შეხლა - შემოხლა. ფეოდალი იძულებული ხდება ერთხელ „სვეტი ცხოველი“-ს სასწაულმოქმედ ხატს ეამბოროს, შინაგან „უკულოდ“, რასაკვირველია. რამოდენიმე წუთის შემდეგ იგი კვდება. ხალხს ჰგონია: ხატმა „უწია“ რჯულის უარისმყოფელსო. ხოლო აქ სხვა რამეცაა. ფეოდალის უცერი სიკვდილი იწვევს ათასგვარ შიშსა - მოთქმას. საჭმე იქამდეც მიდის, რომ ხატსაც სინჯავენ. მოჰყავთ ერთი ჯიშისანი ძაღლი, რომელმაც ხატი ენით უნდა ალოკოს. ალოკვის შემდეგ ძაღლიც კვდება წამსავე. ირკვევა: თურმე ერთს აგენტს მეფისა მოუწამლაეს ხატი რაღაც სითხით. შინაგანი იმართება ამ ადგილსა ამკარაა: 1. მეფე „გაბითურებულა“—რასა ის მეფე, რომელიც მოწინააღმდეგის მოსაძვირებლად ასეთს სამუშალებას მიმართავს? 2. „გაბითურებულა“ ხატიც—რასა ის სათაყვანო ხატი, რომელსაც ასე ექცევიან და ასე იყენებენ? ბოლშევიტები, რასაკვირველია, განხარებულდენ, როცა რომანის ამ ადგილს წაიკითხავდენ. ხოლო ქართველი? ყოველ ქართველს, ნამდვილ ქართველს, ეს სცენა ისარივით მოხვდებოდა და მოხვდება გულში. შესაძლოა რომელიმე ქართველი მეფე ვერ იდგა მეფურ სიმამლზე; ამის მაგალითებსაც ვხედავთ საქართველოს ისტორიაში. ხოლო აქ მალულად, თითქო სუნთქ-

ვით, თვითონ „ხელმწიფების“ იდეაც არის „გაკარული“, ის იდეა, რომლითაც გამართულია „ცხოვრება ქართლისა“. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: თავი და თავი აქ ხატის შელახვაა. „სვეტი ცხოველი“ საკრალური შუაგულია საქართველოს ისტორიისა და მისი ხატი სიმბოლოურია სახე ამ შუაგულის. მცხეთის ახლო ერთს ფორსკზე, რომელსაც „მოგვთას“ უხმობდენ, ძველად მოგვნი მზესა და ცეცხლს თაყვანსაც ეძემდენ; მცხეთის გვერდით იგულვებოდათ კარდჰუს საფლავი; მცხეთაში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული მეოთხე საუკ. პირვ. მესამედში; აქ გამოსჭრა წმინდა ნინომ ჯვარი, რომელსაც თავის თმები მოახვია: უნივერსალური სიმბოლო მთელს საქრისტიანოში; მცხეთა უძველესი დედა - ქალაქი იყო საქართველოს; მის წილში განსვენებენ მეფენი და მთავარნი. არი არის შემთხვევითი ამბავი, თუ აქ აგებულ ტაძარს „სვეტი ცხოველი“ დაერქვა; ვასაგებია ისიც, რომ ქართველთა განცდაში და მწეგნებაში ამ „სვეტის“ გარდამქმნელი ძალა „გასახნდა“, როგორც სასწაულმოქმედი ხატი. და აი განსახურდიას რომანში ეს ხატისა შეგინებული. რელიგიური კულტი რომ განსზე დავტოვოთ—ეს „შეგინება“ ფსიქოლოგიურად მაინც ქეძაფივით მწველია. ეს არის ერთი მოკლე ეპიზოდი რომანში, გარნა ვიცით: ხშირად ერთს წვეთს საწამლავისა შეუძლია მოსწამლოს მთელი წყარო. აი სადამდე მისულა გამსახურდიას „დათმობა“, იმ გამსახურდიასა, რომელიც ერთს დროს მისტიკოსად და მორწმუნედ სთვლიდა თავის თავს! ამ „დათმობით“ მოსწამლა მან არა მხოლოდ თავისი წიგნი, არამედ თავისი თავიც. საბჭოეთის ატმოსფეროში რომ არ ეცხოვრა, ამ „დათმობას“ იგი არ დაუშვებდა და ვერც დაუშვებდა. თავი და თავი აქ ესაა. ეს დათმობა ხდის ადამიანს საბჭოეთში ზემოხსენებულ „მ“-ად. ეს არის მთავარი ხტილი საბჭოთა ადამიანის ფსიხიკისა. თუ ეს ვერ გაიგეს, მაშინ ყოველგვარი ცდა „ფსიქოლოგიური ომში“ საერთო ენის მონახვისა საბჭოელ კაცთან თუ ხალხთან, წინდაწინვე განწირულია. განწირულია ასეთი ცდა ყველასა: ქართული ემიგრაციისა, ყოველი არა ქართული ემიგრაციისა, ევროპისა და თვით ამერიკისაც.

ხანგრძლივი საუბარი მქონდა ბატონ გრიგოლთან მასთან სტუმრობის დროს ბევრ, მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე. ზოგ ჩემთვის საინტერესო კითხვებზე მისგან ვარკვეული და კო-

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის

(გაგრძელება, იხ. „ბედ. ქართ.“ № 12 - 13)

VI

მესხი - მელექსე განაარჩევს ორ - გვარ შიარობას: პირველია პოეზია საღმრთო, ფასაგები და მოსასმენი ვითარცა საღმრთო (რელიგიური ჰიმნები და სხვ.), ხოლო მეორე — საერო, ნაგ. იგივე „ვ. ტ.“-ი, რომლის მოსმენითაც კაცი აგრეთვე სიამოვნებს, თუ შეძლო მისი დაფასება. — [აქ] ლექსი მით არის კარგი, რომ გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო. — ასე უნდა გავიგოთ ეს უკანასკნელი ტაეზი, სხვანაირი გაგებით გამოდის, რომ თითქოს მარტო შიარობით შეიძლება გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა, რაცა უცნაური აზრია. — ინგოროყვას მიერ განმარტება ამ სტროფისა: პოეტის ქმნილებაში მოცემულია ერთ-დროულად ორი ფაზონილობა: ერთი მხარეა მისი საღმრთო ეზოტიური შინაარსი, რომლის დაფარული ღვთაებრივი აზრი უნდა ივეთვისოთ გონების მიხედვით, და სხვ., ხოლო მეორე, სააქაო, პირდაპირი, რეალისტუ-

რი მისი შინაარსი აგრეთვე ანიჭებს მომზადებულ მეტოხველს კმაყოფილებასო, და სხვ., მართლაც „ჭკუისათვის ძალის დატანება“. არავითარია ამისი მსგავსი ამ სტროფში არ არის. მაგრამ ინგოროყვას „შიარობის“ სტროფები შეცდომით რუსთველისა ჰგონია და საინტერესოდ მიაჩნია ასეთი „ღრმა“ განმარტება მისცეს რუსთველის პოეტიკას. — მესხი - მელექსისათვის აგრეთვე არის ორი გვარი ლექსის წერისა: „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა (< ხმევა), ე. ი. დიდ თხზულებათა დაწერა და თქმა; როგორც ცხენს გამოცდის გრძელი ფეხა და რბენა, როგორც მოზურთაღს მოედანხედი მარჯვედ ბურთაობა, ისე მელექსეს სიდიდე მისი ნაწარმოებთა, რომ არ გაუჭირდეს საუბარი და ლექსი არ შემოეღიოს. — ინგოროყვას განმარტება: პოეტს გამოაჩენს მონუმენტალური შემოქმედება, შეერთებული პოეტური ზომიერების გრძობას-

ნკრეტული პასუხი არ მიმიღია. ეს ფასაგებიცაა, რათვან გვიგოვს რომაქიმე პოლიტიკური მოღვაწე არ არის და პოლიტიკურ საქმიანობაში არ ერევა.

შესაძლოა, განძრახ არ უპასუხნია. მისი სიტყვით, პასუხიც ხანდისხან თავის დროს ითხოვს. ხოლო ის ორიგინალური აზრები, რომლებიც მან გამოსთქვა, ის ღრმა და იწვიათი ანალიზი მოვლენათა, რომელიც მან გააკეთა, უაღრესად მნიშვნელოვანია და მხვედრი, რასაც შეითხველიც დაინახავს.

საჭიროდ მიმაჩნია განსაკუთრებით აღვნიშნო შემდეგი: ბეჭერი ფამოკვლევი წამიკითხავს ბოლშევიზმზე, ბეჭერი მიფიქრია ამ მოვლენის ირგვლივ, მაგრამ ასეთი დახასიათება და ფაგება, როგორც ბ. გრიგოლისაგან მოვისმინე, არსად არ შემხვედრია. ღრმა ანალიზით გადამიშალა მან ქვეყნილი შინა-აზრის ბოლშევისტური სისტემისა და თანვე უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით სავსე სული „საბჭოთარი აღამიანისა“.

ინტერვიუ დამთავრდა. გაუთავებელი კითხვებით დავალე ჩვენი დიდი შეკრახანი. ვის მოსწყინდება მასთან საუბარი და მოსმენა

მისი ცეცხლით და იმედით ანთებული სიტყვებისა? დღესაც მესმის ყურში მისი ხმა, შინაგან შემარხველი: „გახსოვდეთ ყოველ წუთს, რაც მოვახსენეთ შესახებ ხალხისა. იგი ცოცხალი არსია ზებიროვნული ბუნებისა. ყოველი ცალკეული — იყვას იგი შოაზრე თუ მწერალი თუ პოლიტიკოსი — განსაკუთრებულ კვანძში არის ამ არსთან მოქცეული. ვაწყდება ეს კვანძი — მაშინ უთესლო და უნაყოფო იქმნება ყოველი აქტი: აზროვნებაში თუ მწერლობაში თუ პოლიტიკაში. ამ კვანძის ვაწყვეტით იწყება შინაგანი ვადავგარება - ვადამენება ხალხისა, იყვეს უკანასკნელი რიცხვით თუ გინდ ასი მილიონი. 1917 წელს ტფილისში გამართულ „ეროვნულ ყრილობაზე“ სწორედ ეს კვანძი იყო მომქმედი და შემომქმედი. ქართულ პოლიტიკურ დარაზმულობათ უნდა ახსოვდეს ეს. აცოცხლდება მათში კვანძი იგი — მაშინ მათ შორის არსებულ იაზრთა სხვადასხვაობა არ იქცევა გამოივგუთანხმობად. არ აცოცხლდება — მაშინ საქმე ქართული წყალწაღებულად უნდა ჩაითვალოს. იმედი მაქვს, არ მოხდება უკანასკნელი“.

კ. სალია

25. 2. 1953 წ.



თან, — ლექსთა გრძელთა თქმა, მაგრამ ამასთან მოხერხებული უკან დაწევა პოეტური ცხენისა, როცა სრულდება საუბრის საგანი და ლექსიც ამოწურავს იწყებს, — ლირალა გაუფერობაზედ არის დამყარებული: გადამწერლებს ამ ჩანართის მე-4 სტროფის მე-4 ტაპში „რა“ დაუწერიათ შესტროფით „არ“ — ის მაგიერად („არ მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა“, და არა „რა მისჭირდეს საუბარი“ და სხვ.). ინგოროყვას რომ ტექსტი სწორად აღედგინა, სრულიადაც აღარ დასჭირდებოდა „პოეტური ცხენის უკან დაწევა“ და სხვ.. მეორე ნახევარი სტროფისა სრულიად მარტივად იქმნებოდა გასაგები. — წერს „მეორე ლექსისა“, — პატარა ლექსისა — რომელიც ვერ „სრულ - ჰქმნის“ „სიტყვათა გულისა გასაგამირეთა“, მესხი - მელექსეს აზრით ენსაგავსება ყმაწვილ მონადირეთა მშვილდოსნობას, რომელთა ხელობა მცირე ნადირთა ხოცაა, რათგანაც დიდთა მოკლვა არ ძალ - უძის. ე. ი. ავტორის აზრით ასეთ პატარა ლექსებს დიდი ღირებულება არ აქვს. —

მესხი - მელექსე ამ ჩანართს კარგი ლექსით სწერს, კარგად ჰბაძავს რუსთველს. მაგრამ მისი შემავსებელი ინტერპოლატორის არც ლექსი ვარჯ და არც მისი სტროფების შინაარსი: „შინა შინა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა“ და სხვ.. (ვანერცობა მ. - მელ. აზრისა); „ხელნარჯვედ სტენდეს ჩოგანსა, იხმაროსა დიდი გმირობა“ (სრულიად უაზრო ფრაზა, თქმული „არ შეამციროს ქართული (= სიტყვა), არა ჰქმნას სიტყვა - მცირობა“ - ს. შემდეგ); „მოშაირო არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთ - ორი“ (სიტყვა?) და სხვ.; „მაგრა იტყვის: ჩემი სჯობსო! უცილობლობს ვითა ჯორი“, და სხვ. — ეს უშნო განერცობანი და განმარტებანი მესხი-მელექსის სტროფთა ადვილად გამოსაცნობნი არიან, როგორც წეთხუზულნი სხვა ინტერპოლატორისა. მასვე შეუთხზავს „მესამე ლექსისა“ სტროფი (მართლსაწინოდ სამების სიყვარულით!): ეს მესამე ლექსი კარგია სუფრაზედ სახუმაროდ, საამიკოდ, ამხანაგთა სათრეველად („ხმა“, „ექსპრომიტი“ და სხვ.). ჩვენ მათივე გვეაზრის, რაცა იდენ თქვან ნათელად“, ამბობს ბოლოს ავტორი, ე. ი. შეიძლება ვადაკრულეებისა და ბუნდოვან, ორ-აზროვან არა საკადრის თქმას უკრძალავდეს იგი ასეთ ლექსთა მთქმელთ. ხოლო ბოლოს მესხი - მელექსის აზრს იმეორებს, — (ნამდვილი) პოეტი არ არის, ვინც დიდ თხზულებას ვერ დასწერს, — მესხი - მელექსისა, რო-

მელსაც არა თუ მართლსაწინოდ ასეთი ლექსები, არამედ არავითარი მცირე ლექსი არ მოსწონდა. — და იცისც ეს სტროფი რუსთველისად მიაჩნია, ან თუნდ მესხი - მელექსის შეთხუზულად, იგი დიდად სცდება, — არავითარი „პოეტის“ გამოსარკვევად იგი არ არის გამოსადევი. —

ფრიად საინტერესოა მესხი - მელექსის მეორე დიდი ჩანართი (3), — მიჯნურობა. იგი, მსკაცრად ორ-გვარის შაირობისა, განარჩევს ორი მიჯნურობას: ერთია „საქმე საზეო“, სიახლე და სიყვარული ღმრთისა, მომცემი აღმაფრენათა, მაგრამ ძნელი რამ, ხოლო მეორე — მიწიერი, ამ ქვეყნიური, „ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხედებიან“. აი ეს მეორე სიყვარული აღწერილი „ვ. ტ.“ - ში მესხი - მელექსის სიტყვით, მაგრამ შევადარებთ რა „ვ. ტ.“ - ში რუსთველის მიერ აღწერილ სიყვარულს მესხი-მელექსის მიერ ჩანართში მოცემულ სრულ კოდექსს სიყვარულისა, ვხედავთ, რომ რუსთველი ამ კოდექსს სრულიადაც არ მისდევს. ესეც ერთი ნიშანია მიჯნურობის სტროფთა ჩანართობისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩანართიც კარგი ლექსით და რუსთველის კარგი მიბაძვით არის დაწერილი. მაგრამ მესხი - მელექსის ამ სტროფებს დიდი კულტურულ - ისტორიული მნიშვნელობა აქვს: იგი გვაძლევს საშუალო საუკუნეთა რანდული ეპოქის წარმოდგენას განათლებულ ქართველთა საღმრთო და ზორციელ სიყვარულზედ, — ქალ - ვაყთა მიჯნურობაზედ, ამ უკანასკნელის სრული კოდექსის მოცემით, რას მსგავსს დასავლეთი ევროპის საშუალო საუკუნეთა აგრეთვე რანდული ეპოქაში ვხედავთ (იხ. ზ. ავალიშვილი, „ვ. ტ.“ - ის საკითხები, მიჯნურობა). — ხოლო მე-3. ჩანართის სტროფები 10<sup>#</sup> და 11<sup>#</sup> მესხი - მელექსის სტროფთა განმარტებას, სხვა ინტერპოლატორის მიერ ჩართული, და არა სხვა რამ, როგორც ეს ინგოროყვა ჰგონია და ჩვენ შემოთ აღვნიშნეთ. —

რა დარჩა „ვ. ტ.“ - ის „დასაწყისითან“ ყველა შემოსხენებულ სტროფთა გამოკლების შემდეგ? — ხუთი სტროფი, ჩვენ მიერ რუსთველისად ცნობილი „მიძღვნა“ მისი რომანისა თამარ მეფისათვის, — ხუთი სტროფი, შინაარსით მინაგანი კავშირის მქონე ურთიერთთან, რასაც ვერ ვხედავთ „დასაწყისის“ ნაწილთა შორის, ვერც ხელთნაწერებში და ვერც დაბეჭდილ გამოცემებში „ვ. ტ.“ - ისა.

რუსთველი ამბობს თავის მიძღვნაში: „ვინც



შექმნა სამყარო თვისი ძლიერით ძალით, ზეცა-  
 რქდმო გააჩინა არსნი ცუთგან მობერძნილი სულებით  
 ცხოველნი, ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა მრავალ -  
 ფეროვანი, — მისგან (ე. ი. ღმრთისაგან) არის ყოველი  
 ხელმწიფე, მისივე მსგავსი სახით. — მე, რუსთველი,  
 [მიჯნურობის] ხელობით (= გონება - დაკარგულობით) მცდარი, იქმ ამ  
 საქმეს (გაეხელდი [ხელმწიფისათვის] გამიჯნუ-  
 რებით, ვის ჰმორჩილობსა ჯარი სპათა. დაეუ-  
 ძღურდი, წამალი მიჯნურთათვის კვლავ არსით  
 არის, რომ ან განვიკურნო და ან მიწა მესამა-  
 როს): — ეს საზარსული ამბავი, ქართულად ნა-  
 თარგმნი, მსგავსი თბოლი, ხელით ხელს საგო-  
 რებელი მსარგალიტისა, ვბოვე და გარდავთქვი  
 ლექსად, და ვქმენ საჭოჭმანო საქმე: ჩემს ხელ-  
 მქნელს (ხელმწიფეს) შევკვადრო [მიძღვნა] ამ  
 შევნიერებათა\*)? — (მაგვრამ) მელექსე თავის ნა-  
 წარმოებს ცუდად არ უნდა ჰვანტავდეს. თუ მას  
 ერთი ვინმე უჩინს სამიჯნუროდ, მთელი მისი შე-  
 მოქმედება მან მის ქებას და შემკობას უნდა შე-  
 სწიროს, მისი ენა მხოლოდ მისი მიჯნურისათ-  
 ვის უნდა მუსიკობდეს. — და აწ სცანით ყველამ,  
 რომ მე [ჩემი თხზულებით] მას ვაქებ, ვინც  
 უკვე მიქია\*\*). ეს მე მის დიდ სახელად მიმამჩ-  
 ნია, არა მისი გასქებად, [ვინათგან] იგია ჩემი  
 სიკეთეცხლე, [თუმცა] უწყალო, ვითა ჯიქი, ვი-  
 სი სახელი [პირდაპირ ზემოთ არი მიხსენებია,  
 არამედ „შეფარვით“, და] შეფარითვე ქვემო-  
 თაც (ე. ი. თვით „ვ. ტ.“-ის მოთხრობაში) მით-  
 ქვამს, იქ არის ნახსენები.]“.

ამით ამართლებს რუსთველი თავისი კანდიდირე-  
 ბას, რომ მეფეს ძღვნად თვისი თხზულება შეკ-  
 მართა, და, ამჟღავნებს რა თავის მიჯნურობას  
 მეფისათვის, მის სახელს პირდაპირ მინც არ ახ-  
 სენებს, ხოლო მართლაც მარტო „შეფარვით“,  
 გულის-ჰმობს რა თინათინს, რომლის გამეფება  
 როსტევეანის მიერ გარდმოცემია გიორგი მე-III-ის  
 მიერ თანარის გამეფების ამბისა, რაის მოწამეც  
 თვით რუსთველი იქმნებოდა, და შეიძლება ნეს-  
 ტანდარეჯანსაც, რომლის ამბის შემსგავსება თა-  
 მარის ცხოვრებაში მომხდარი რომელიმე ამბავ-

თან კიდე უფრო „მესაფარავი“ უნდა ყოფილი-  
 ყო.

ამი ამ ხუთი სტროფის ირგვლივ რუსთველისა  
 ნეტოხზავს მესხ - მელექსეს თვისი ჩანარებები,  
 ეს უკანასკნელი კი შეუქმნა უფრო გვიანდელ  
 ინტერპოლატორს: რუსთველი თვის მიჯნურო-  
 ბას ამჟღავნებს მეფისათვის (ეს ერთნაირი ჩვე-  
 ულება იყო მაშინდელ პოეტთა წერილსა, და არა  
 მართლაც მამიჯნურება!), მაგვრამ არი ახსენებს თა-  
 მარის სახელს. მესხი - მელექსე ამ მიჯნურობა-  
 ზედ არას ამბობს, არამედ მოვეითხრობს „დასა-  
 სრულში“ უცხო ამბავის გალექსევს თამარის და  
 დავითის სახედ და დარად, ხოლო გვიანდელი  
 ინტერპოლატორი „დასაწყისში“ წვრილმანებს  
 გადმოგვცემს, — თითქოს რუსთველისათვის ებ-  
 რძანებოდა თამარის ქების დაწერა, იგი ახსენ-  
 ნებს ტარიელს, როგორც „ვ. ტ.“-ის უმთავრეს  
 გმირს და სხვ., და ამით უძნელებს საქმეს ტექს-  
 ტის კრიტიკას. — მესხი - მელექსე მელექსეობა-  
 ზედ მსჯელობს, რათგანაც რუსთველს თვისი  
 მიძღვნის გასამართლებლად მიჯნური მელექსის  
 მოვალეობაზედ სჭირდება სიტყვის თქმა, და  
 გვიანდელი ინტერპოლატორი აქაც ჰშველის  
 მესხ - მელექსეს თვისი სიბრძნით. ბოლოს მესხი-  
 მელექსე მიჯნურობის ტრასქატას სწერს, სთხზავს  
 მის მთელ კოდექსსაც, რათგანაც რუსთველი  
 თვის „მიძღვნას“ ვითარცა მიჯნური სწერს  
 (გვიანდელი ინტერპოლატორი აქაც განმარტავს  
 მესხი - მელექსის სტროფებს). და ყოველივე ამას  
 მესხი-მელექსე დასწერს „რუსთველისად“ = რუ-  
 სთველისათვის, — „დასაწყისში“ ისევე, როგ-  
 ორც „დასასრულში“\*).

\* პ. ინგოროყვას „დასაწყისი“ (რუსთვ. I. გვ.  
 109), მის მიერ რუსთველისად აღსარებული, ნა-  
 ძალადევი შეერთება რუსთველის პირველი და  
 მეხუთე სტროფისა და გვიანდელი ინტერპოლა-  
 ტორის უშვერი ჩანარითა, (სტრ. 2 - 4), რომელ-  
 თაც რუსთველის სტროფებთან არავითარი შინა-  
 ცანი კავშირი არი აქვს. ამას კიდე ემატება ინგო-  
 როყვას უცნაური ემენდაციები: „შამისა ნიშნად  
 სთქვეს, ეტლად შერისა“; „ლექსთა... ვლინა“;  
 „ვინ ცამ იქია“; „არ — დამე! (= მარადი იყვეს  
 მათი მეფობა!) — განმიქია“ და სხვ., და მისი  
 თავისებური გაგება ტექსტისა. ყოველივე ესე  
 ყოველად მიუღებელია ჩვენთვის, ვითარცა მხო-  
 ლოდ თვით - ნებობა ავტორისა.

\*) „ლამაზმან(ებ)ი წარმოებულია „ლამაზ“-  
 ითგან, როგორც „წვრილმან(ებ)ი“ „წვრილ“-ით-  
 გან და სხვ..

\*\*\*) იხ. ზემოთ გვ. 19: „ისტორიანი და აზმა-  
 ნი“, ე. ი. „ქებანი“, ჩემი აზრით რუსთველისა.

VII.

„ვეფხისტყაოსნის“ თვით მოთხრობა „დასაწყისსავეთ“ სავსეა ჩანართებით, რომელიც ხშირად ხელს უშლის მის ბუნებრივ მიმდინარეობას და აუშნობებს მას, და თვით ლექსის არა ყოველთვის შალალ ღირებებიდან სჩანს ხშირად სტროფთა ჩანართობა. აქაც საქმე გავრთულელებულია აგრეთვე მით, რომ მესხი-მელექსის გარდა სხვა ინტერპოლატორთაც ჩაურთავს მათი სტროფები რუსთველის სტროფთა შუა და თვით მესხი-მელექსიც „შეუქსიათ“. ხოლო ჩანართთა გარჩევისათვის რუსთველის ტექსტისაგან და აგრეთვე გვიანდელ ჩანართთა გამოყოფისათვის მესხი-მელექსის სტროფთაგან აქაც იგივე დაკვირვება გვშველის, როგორც „დასაწყისის“ გარჩევის დროს: კარგი ლექსი, კარგი მიზანძვა რუსთველისა, განსაზღვრული, ცხელი მიზანი რუსთველის ტექსტის შევსებისა მესხი-მელექსისაა. უშნო და ხშირად უშინაარსო სტროფები, ხშირადვე თითქოს უნიზნოდ, თვით რუსთველის ან მესხი-მელექსის (ან კიდევ, შეიძლება, სხვა ინტერპოლატორის) შევსებრებით ჩართული; გვიანდელი ინტერპოლატორისაა. გვიანდელ ჩანართებში ხშირად რომელიმე ტაქტი ექრთისა და იმავე სტროფისა დანარჩენ ტაქტთა შინაარსთან შეუსაბამოა, ხშირად ნახმარია გრამმატიულად სრულიად შეუძლებელი ფორმა, რაიცა არც გვხვდება არც მესხი-მელექსის ჩანართებში და რასაკვირველია არც რუსთველის სტროფებში. რუსთველს ხშირად აქვს თავისუფლად ნაწარმოები სიტყვა, ან ფორმა, მაგრამ არასად შეუძლებელი, უკანონო, მიუღებელი. ეს უნდა ყურად იღონ მკვლევარებმა, როდესაც იგინი დაუფიქრებლად რუსთველს გრამმატიკის უგულებელ - ყოფას სწამებენ ხოლმე.

რაოდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორი ჰბადავს მესხი-მელექსე რუსთველს: რუსთველს: „მერმე ვიშიშვი, მიფეო, თქვენად კადრებად ამისად... წამისად... ღამისად... ჟამისად“ (და სხვა სტროფები მსგავსი ტაქტებით (IV, 98 და სხვ.); მესხი-მელექსე: „გასრულდა მათი ამბავი ივითა სიხმარი ღამისა... ჟამისა... წამისა... ამისა“ (ჩანართი 191,1); „რა სთქვი, რას იტყვი, არ ნესმის, არცა შვალს სმენად ამისად... წამისად... ჟამისად... (ცრემლისა) ღამი საღ“ (ჩანართი 116,1). ან და რუსთველს: „აწ ნითხარ თუ, რას იტყოდო, რას გაშმაგდი ისრე რეტად... მეტის-მეტად... ჳერეტად... შრეტად“ (VII, 34); მესხი-მელექსე:

„ზე - წამოჯდა ფერ - მიხდილი, - აყოლებდა ზვალთა რეტად... სპეტად... ჳერეტად... მეტის-მეტად“ (ჩანართი 2,4), და სხვ. და სხვ.:

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ ნამდვილ სტროფში რუსთველისა თუ მოიპოვება განოთქმა მხვეთელის ოდისა\*): 44: „იავუნდისა, სხვა რადი უნდისა, ჯამები იყვის ლალ-ფირუზისა; იყვისა ჳურტელთა სხვათ უცხო ფერთა სიმრავლით დება თვით ურიცხვისა: რუსთ. III, 155, 3: „ჯამი და ჳიქა ყველაფ ფირუზისა და ლალისა“, მესხი-მელექსე რუსთველსაც ჰბადავს და ოდის ავტორსაც: ჩანართი 109,3-2: „იავუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ჳიქები; კვლა უცხო ფერთა ჳურტელთა სხდის უცხო - უცხო საიქები“;—მავთ. 8,4: „მართებს რომცა ჳქონდა მასამცა სახლად - სამყოფად განჩინებული“: მესხი-მელექსე, ჩანართი 82,4: „სახლ - სამყოფი არა ჳმართებს, ცამცა გაიდარბახესა“. — ხოლო სხვა, გვიანდელი ინტერპოლატორი, რუსთველისა და მესხი-მელექსის მაგალითით წაქეზებული, ჩანართბად ჰბადავს მსგავსით: ჩანართ. III, 16: არი დენ... არი დენ... არი დენ... ჩანართი 6\*,2: არი დენო... არი დენო... არი დენო... არი დენო“, და სხვ..

ყურად - საღებთა ერთი ადგილი მესხი-მელექსის ჩანართისა 124,4: „... მისევე ყმისა სიტკბოსაგან წყლით ქენიცა გამოსხდიან, ისხმედიან, გაჳკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან“, რომელიც გვაგონებს ანტიოქის სტრატიგოსის „წარტყვენად იერუსალიმისა“—ის ერთ ადგილს (მარო, პეტერბ. 1909, ივ. მდ, 1-2): „ქუანიცა უსულონი ხმას ცემდეს და ტიროდეს ცოდებასა მათსა ზედა“ (ორი ძმისა, რომელიც სპარსთი ტყვედ მიჰყავდათ). — „ვისრისიანშიც“ ხომ ჩამინის დაკრვას და სიმღერას ისეთივე ძალა მიეწერება, როგორიც აქვს ავთანდილის სიმღერას მესხი-მელექსის ჩანართში, რომელიც „ვ.ტ.“-ის ყველა გამომცემელთა მიერ, ჩვენი აზრით, შეცდომით არის მიჩნეული რუსთველის დიად საუკეთესო სტროფებად. \*\*).

\*) ნ. მაროსის გამოცემა (რუს.) Древне-грузинские описцы.

\*\*\*) მესხი-მელექსის ზოგიერთი ჩანართის „ისტორიისა და აზმთა“ გავლენაც ეტყობა: „ვ.ტ.“-ის გმირთა მსგავსი არსეინ ყოფილა, არავინ ზობილა; „მაშინდელი“ ზარი და ზეიმი „ახლა“ ვით ითქმისო, და სხვ. თვით რუსთველს, რომე-

როდესაც ვანვიცდით „ვეფხისტყაოსნის“ მოთხრობის სიმართლეს და თან ვკითხულობთ აუარებელ სტროფთ, რომელნიც დაჰშლიან ამ სიმართლეს, თვით ეს მოვლენა ხდება ჩვენთვის დამანტიკაციებელი მათი ჩანართობისა, გარდა სხვა ნიშანთა. ვანვიხილავთ რა დიდ, მიზან - შეწონილ და კარგი ლექსით დაწერილ ჩანართებს, ცხადად ვხედავთ, რომ მათ ავტორს, მესხ-მელექსეს, პოემა „ვეფხისტყაოსანი“ რუსთველისა შეუფხია და შეუკავშავს: სადაც მას ჰგონებია, რომ მოქმედებას ან საუბარს აკლია სისრულე, შეუფხია ეს ადგილები, ან განუმეორებია რუსთველის სტროფთა შინაარსი, ან განუმარტავს იგი. მესხი - მელექსე ჰკავშავს აგრეთვე რუსთველის ქმნილებას ნეტა დრამატისმით, გაზვიადებით გრძნობათა გამოთქმისა სიტყვით და ტირილით, აგრეთვე ჭირის ვერ - გაძლებისა, რაიცა დახედით თავდება. მას უყვარს ანალოგიების შექმნა რუსთველის მიერ მოთხრობილ ამბავთა. მასვე შეუმკვია „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილები ლიტმოტივის სტროფებით. მასვე „დაუსრულებია“ მოთხრობა, შეუფხია „დასაწყისი“ ფრიად მნიშვნელოვან „სწავლათა“ ნოცემით და დაუწერია „დასასრული“, სადაც იგი თვის სახელს ამეღვენება, ვითარცა რუსთველისათვის „მწერალი“, და სხვ. და სხვ.. — მესხი-მელექსე არ არის „ყაღბის-მქმნილი“, რომელი აზრითაც ამ სიტყვას არ უნდა ხმარობდენ, — არ არის უბრალო და უსახელო ინტერპოლატორი, არამედ ნიჭიერი და განათლებული პოეტი, რომელსაც რუსთველის პოემის, შეიძლება თვით რუსთველის სიყვარულითაც, ვითარცა უფროსი თანამედროვისა, გაუწევი თვისი შრომისა. — მაგრამ მას ბევრი ნაკლიც აქვს, — უმთავრესი ზემოთ უკვე აღნიშნული დაუდევრობა ინტერპოლატიის დროს, დაუმთავრებლობა ზოგ დიდ ჩანართთა და სხვ., რაიცა საბედნიეროდ გვიადვილებს მის ჩანართთა ცნობას „ვ. ტ.“-ის ტექსტში. — ლექსიც მისი ყოველთვის ერთისა და იმავე ღირების არ არის.

აი უმთავრესი მაგალითები მესხი - მელექსის რუსთველისათვის კეთილი გრძნობით და მიზნით აღსრულებული ღვაწლისა: დამთავრება როსტევენისა და ავთანდილის სანიძლავო ნადირობისა ავთანდილის გამარჯვებით და როსტევენის სიხარულით (ჩანართი 13), რაის ჩანართობა ისე ჩი-

ლიც, ჩვენი აზრით, შემთხვეული იყო „ისტორიათა და აზმათა“, ამ ისტორიულ თხზულებაში მეტი აქვს მსუავსი გამოთქმანი, ვიდრე „ვ. ტ.“-ში.

ნებულად დამტკიცა პ. ინგოროსყვამ (რუსთვე. I, თავი VI). — ტარიელის ტირილი „წყლისა პირისა“ როსტევენისა და ავთანდილის თვალ - წინ რუსთველის სტროფებში საკმაოდ წვრილად არის აღწერილი. მესხი - მელექსე აზვიადებს ამ ტირილს და ტირილს გაზვიადების თვისი სტროფით ისეთ ადგილს აქვს ჩართული, რომ მოთხრობის მიმდინარეობა ძლიერ არა - სასიამოვნოდ ირღვევა (ჩანართი 14). მიზანი ჩანართისა კიდევ ის არის, რომ თქვას: (ტარიელი) „მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი“, რათვანაც ჩანართში 13, 5, 2 „ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდევს უფროსნი ბუეთისა“. — რუსთველის სტროფში კი დალოლი მიფისა და ავთანდილის ცხენებითგან გარდახლომის შემდეგ „ლაშქართა მოდენაზედ“ არაფერია ნათქვამი, — თინათინისათვის სიუხვის სწავლება როსტევენის მიერ განმეორებულია მესხი - მელექსის ზედ - მეტი სტროფით, — მართლ - საჩინოდ ანდაზის ფულისთვის: „რასაცა ვასცემ, — შენია, რასც არა, — დაკარგულია“, რომელიც ხალხში გავრცელებული იქმნებოდა (იხ. ჩანართი 5). — რუსთველის მოკლე სიტყვას: „ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“ (VII, 107), მოსდევს შემავსებლის სტროფი, „სიბრძნის მეტყველება“ „ოქროს მოყვასათვის“, ძლიერ უხერხულად ჩართული (ჩანართი 151), სრულიად შეუსაბამო მოთხრობასთან! — ტარიელს შემავსებელი წინდაწინ ათქმევინებს ასმათისათვის, — ჩემი ამბის თქმის დროს მე უეჭველად დაგბნებდი და ამიტომ მოდი, მოგვეწყალი მოიტანე, „დაბნედილსა მაკურებდიო“ და სხვ. (ჩანართი 49,1). ეს ჩანართი მესხი - მელექსისა, გარდა მისი ცოტად გემოვნების ნაკლისა, მისი ხშირი დაუდევრობის ნაკოფიც არის: რუსთველის „დაბნედასა მიეწურას“ (III, 11,3) შემდეგ მართალნი დაბნედიანი ხდებიან ტარიელისა მესხი - მელექსის მიერ: ნესტან - დარეჯანის სახელის ხსენებისას (ჩანართი 51,2), მისი პირველად დანახვის ამბის თხრობისას (ჩანართი 54, 1) და მის მიერ ნაჩუქარი სამზროს „მოღებისას“ (ჩანართი 62). მაგრამ შენავსებელი ტარიელს სწორედ მაშინ არ დაჰბნედს, როდესაც მას მეტი მიზნით ჰქონდა დაბნედიანა, — მისი ნესტან - დარეჯანთან წაკიდების ამბის თქმის დროს! მართლაც, სწორედ ამ ამბის მოგონებამ დაბნედა ნამდვილად ტარიელი ლომ - ვეფხის დახოცისას, როგორც მოგვითხრობს თვით რუსთველი! — ავთანდილი ათავებს თავის თხრობას ლომ - ვეფხის დახოც ტარიელისადმი, რომ



ცხენხედ შეგდეს და მისათან ერთად წავიდეს, სიტყვებით: „რაცა არ ვწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასაო“ და სხვ. (V, 32). ტარიელი ამანედ უპასუხებს, რომ მას სიკვდილი ღმერთად უჩნს, რათავანაც საიქიოს მაინც შევხედება თვისსა წაყვარელს: „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს“—ო, და კვლავ გადაწყვეტით ეუბნება, — სიკვდილი მახლავს, დამეხსენო (5, 33 - 36). ირუსთველის ხელოვნება ამ სცენის გარდმოცემისას შემალექს ხარისხს ახწევს. და სწორედ აქ თავითგან აწყებინებს საუბარს მესხი-მელექსე ტარიელს, — მე უსათუოდ მოკვდებო და სხვ. ტარიელი მკვახედაც შესძახებს ავთანდილს: „მწყენ, დამეხსენ, არა მცალოს“—ო და სხვ. (ჩანართი 115). ამ სტროფებში წინააღმდეგობაც არის რუსთველის სტროფთა მიმართ: აქ ტარიელი ამბობს, — რასაც იტყვი, არ მესმის, ძალი არ მაქვს შენ (ავთანდილის) სიტყვათა სმენისა, — და თვით ურთი - ერთის მიმართ: შემსახებელი ტარიელს განმეორებით ათქმევინებს ავთანდილისათვის, — რასაც იტყვი, არ მესმის, არც შემძლია მისი ზოსმენაო, მერმე კი, თითქოს ყველაფერი კარვად გაუგონა, ტარიელი ეუბნება მეგობარს: „ბრძენი? — ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძობასა! ეგ საუბარი მათინ ხამს, თუცა ვიყო ცნობასა“—ო. კიდევ სხვა ჩანართში იმავე შემავსებლისა ასევე უსიამოვნოდ და ზეურაცხებითაც კი უპასუხებს ტარიელი ავთანდილს, რომელიც მას „დათმობას“ ურჩევს, ლომ - ვეფხის დახოცის შემდეგ დაბნედილსაგან მობრუნებულს: მე ცეცხლის სიმხურვალე მაქვს, შენ კი წყლის სიცივე, და რაც შენტვის არის კარგი, ჩემთვისაც კარვად მიგანჩიო! (იხ. ჩანართი 118,5). — ანალოგიით ჩანართი მესხი-მელექსისა: ტარიელს მისცა ნესტან-დარეჯანმა სამხრე სახსოვრად, შემავსებელი კი თინათისა ც მიაცემინებს მარგალიტებს ავთანდილისათვის, რომელიც მას სთხოვს, მეორედ მისგან განშორებისას, „სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე“—ო (იხ. ჩანართი 88,3). — ფარსადანი ტარიელს სანადიროდ იწვევს და ნადიმს უმართავს მისი ხატუთითგან გამარჯვებით დაბრუნების შემდეგ, ხოლო შემავსებელი როსტევისა ც გამართვინებს ავთანდილისათვის ნადირობას და ნადიმს მისგან ტარიელის ნახვის და დაბრუნების შემდეგ (იხ. ჩანართი 90, 2-5). — ავთანდილის ცოდებანი დაბრკოლებათა დროს, მაგრამ მისი გამძლეობა და მტკიცე გადაწყვე-

ტილება დათმობისა კიდევ განსაკუთრებული შინაარსია მესხი - მელექსის შემავსებელი სტროფთა (იხ. ჩანართი: 32, 2-4; 103, 1-3; 120, 3-4; 124, 2-4 და სხვ.). და ასე „ვ. ტ.“-ის მთელი მოთხრობის ტექსტშია ჩართული და ჩახლართული ზედ - მეტი სტროფები მესხი-მელექსისა, ზოგჯერ ძლიერ უხეცხულად, ზოგჯერ თვით რუსთველის ტექსტთან შესაბამოდაც, რაცაც შემავსებელს ყურად არ სულთა, ზოგჯერ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო-მოვლევად, ხშირად რუსთველის ტექსტში სიტყვათა შეცვლით ჩანართთა და ნამდვილ სტროფთა შესაწყობად და გადასაბმელად, — ჩანართები მცირე და ვრცელი, ყოველთვის განსაზღვრული მიზნით შეთხზული. — ყველა ეს ჩანართები თვითუღალ იქმნება განხილული ცალკე (იხ. ნაკვეთი „ჩანართ ტექსტათვის“).

გვიანდელ ინტერპოლატორთა მიერ ჩანართი რუსთველის სტროფთა და მესხი - მელექსის სტროფთა შუა ჩასაკვირველია უფრო ადვილად გამოსაყოფნი არის „ვ. ტ.“-ის ტექსტითგან. მათ ჩანართობას ცხად-ჰყოფს ან რომელიმე შეუძლებელი გრამმატიული ფორმა, მაგ. „შეუშრობილი“ (ჩან. 1\*, 6,1), „მინდილი ცნობისა“ (ჩან. 117\*, 3) და სხვ., ან სრული უაზრობა ჩანართისა, რასაც გვაჩვენებს მაგ. ტარიელის მიერ ასმათის მოწმად დასახელება მისი შეუდარებლობისათვის ადრე ახალგაზრდობაში, თითქოს ასმათი ხანში შესული მანდილოსანი იყოს და ტარიელი მის თვალ-წინ გახრდილიყოს (იხ. ჩან. 50, 1\*). აქ კადნიერებაც ინტერპოლატორისა საოცარია: თუ პირველი (1\*) ასახელებს ასმათს მოწმად, კიდევ სხვა ვილაც, მეორეც ასმათს ასახელებს აგრეთვე მოწმად და გაამეორებინებს იმავე თვის-ქებას ტარიელისა სხვა სიტყვებით (2\*), თითქოს მეორე პირველს ეუბნება, — ეს დამოწმება ასმათისა შენებურად კი არა, ჩემებურად უნდა იყოს ნათქვამი! ან თვით მათი სტროფებია უაზრო და უნიჭოდ ნათქვამი, როგორც მაგალითად ავთანდილის სიმღერა-ზედ მის შესამკობლად მოსვლა ტყით ნადირთა, წყალშიც (sic) თევზთა, ზღვით ნიანგთა (!), მეჩმე ბერძენთა, რუსთა, საბრსთა, ფრანგთა და ეგვიპტელთა (ჩან. 124, 5\*\*). \*) ან და ყველა

\*) საკვირველია, რომ ისეთ ფრთხილ მკვლევარს, როგორც ზ. ავალიშვილია, ამ ყოველად უაზრო და უშნო სტროფის „სიყალბეში“ ეჭვი შედის და ამბობს: „საყურადღებოა, რომ ამ ტა-

მათ ჩანართთა შორის უარესი რამ: „ტირს იტყუვის: დადვა კეჲსანი ლახვარჲსან ჩემთვის ათმა-ნო. ინდოთა რაზმი ჩემად კლვად თქვა, — ესე ტეფრი ვთხზათ,—მანო. თვალთა გიშქრი აშვე-ნებს, სათმან რად მოშკლა, სათმანო! ბაგე, კბი-ლო და თვალ - წარბო, მომცემდით ბატყთა, თმანო!“ (ჩან. 103, 4\*). ამ „ვ. ტ.“-ის მართლაც „გამაღმოსავლორებელის“, „გამასპარსულებელის“ მიერ შეთხზული სტროფის კითხვის დროს თითქოს გვესმის ყურზედ დაირა-მიდებულნი „მო-ბაიათის“ „აღმოსავლორნი“ ღმუილი, რომელიც ჩვენ ქვეყანაში სპარსეთის ხანგრძლივი გავლენის გამო მოსწონდათ კიდევ, მაგრამ რომელიც საუ-კუნოებით არის დაშორებული რუსთველის ეპო-ქითგან და არსებითად მას არსებითად საცრათო არა აქვს „ვ. ტ.“-თან. — ასეთი სტროფები თვით ჩანართთა ნაწილშიც დიდად არ არის შესატანი, და თუ ჩვენ შევიტანეთ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გვეჩვენებინა მკითხველისათვის, თუ როგორი შეუგებლობით და ზოგჯერ კანდიდებობითაც შე-ურყენათ „ვ. ტ.“-ნი ჩვენი კულტურის სრული-ად დაცემის დროს „მწერლებს!“ — ერთი მათ-განი რუსთველსაც კი ეგვიბრება თვისი ჩანარ-თით, თითქოს ეუბნებოდეს, — ლომ-ვეფხის შე-ყრის ამბავი შენ სთქვი (იხ. V, 50-51), მაგრამ მე მასვე შენვედ ნაკლებად არ ვიტყვიო! (იხ. ჩან. 119\*).\*\* — და, ბოლოს, უმწვერვალესი ხარის-ხი კანდიდებობა: ყოვლად უშვერი ჩანართი ავ-თანდილის მიერ ვაზირისათვის „ქრთამის“ გაგ-ზავნისა, ერთი ინტერპოლატორისაგან შეთხზუ-ლი, მეორეს შეთველ - ჩანარუნადის ლექსად გარ-დაუთქვამს! (იხ. ჩან. 96\*). — უმეტესი ნაწილი „ვ. ტ.“-ში არსებული ე. წ. „მაჯამათა“ ამ გვიან-დელი ინტერპოლატორების „ნაღვაწია“. რუსთ-ველს ძლიერი ძვირად მოეპოვება მაჯამისებური ლექსი (იხ. მაგალითად V, 77). არც მესხი - მე-ლექსის ჩანართებში გვხვდება ხშირად მაჯამისე-

ბური რამ (იხ. მთავ. 190, წ0). გვიანდელი ინტერ-პოლატორებს კი მაჯამათა შეთხზვა დიდი ხე-ლოვნება ჰგონიათ და აუარებელი მაჯამად და-წერილი სტროფებით შეუმკვიათ რუსთველის ტექსტი და მესხი-მელექსის ჩანართებაც (იხ. მთავ. 26\*; 61\*; 92\*; 103,4\*; 186,1\*; 187,2\* და სხვ.). ასეთი რამ, სუაზრო და უშნო თამაში ტაბათა ბო-ლო სიტყვებით, სამუდამოდ უნდა განდევნოს მკითხველმა თავისი გონებითგან როგორც არა - რუსთველური. მაჯამა, ეს ფრიალ არა-სასიამოფ-ნო მოვლენა ქართულ მწერლობაში, — სულ ერი-თია, ძველია იგი, ნიჭიერი მწერალთაგან დაწერი-ლი, თუ გვიანდელი ჩვენი მწერლობის დაცემის დროისა, — ყოვლად მიუღებელი უნდა იყოს მის-თვის, ვისაც პოეზია უყვარს და ესმის. — როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ყველა ჩანართები, რო-მელიც აკლია ხელით-ნაწერებს, გვიანდელი ინ-ტერპოლატორების მიერ არის დაწერილი, და სხვა ჩანართებიც, ბევრთა მათგან შეთხზული, რომელიც ხელი - ნაწერებში მოიპოვება, უტყუ-არ ნიშნებს ატარებს გვიანდელი ჩანართობისა. ყველა ეს გვიანდელი ჩანართებიც ცალკე თვი-თელსად იქმნება განხილული (იხ. ნაკვეთი „ჩა-ნართი ტექსტათვის“).

ჩანართ სტროფებს „ვ. ტ.“-ისა დიდი ყურად-ღება უძღვნეს ა. სარაჯიშვილმა და ი. აბულაძემ, აგრეთვე ს. კაკაბაძემ, და მრავალი მათგანი გან-დევნეს „ვ. ტ.“-ის ტექსტიდან. სხვა გამომცემ-ლებს „ვ. ტ.“-ისა, ან ტექსტის კრიტიკოსებს ამ მხრით დიდად არ შეუწყენიათ თავი\*). მხოლოდ პ. ინგოროყვას ჰქონდა დასასული მიზნად სრულ-ლი განწმენდა „ვ. ტ.“-ისა ოთხასამდე სტროფის განდევნით ვახტანგის ვერსიითგან, როგორც ეს მისი „რუსთველიანა“-თგან სჩანს. ჩვენს გამოცე-მაში ჩანართნი ცალკე არიან გამოყოფილნი და მკითხველს უმთოდ შეუძლია იგრძნოს და იხი-ლოს, აკლია თუ არა რაიმე არსებითი რუსთვე-ლის ტექსტს და ჩვენ მიერ ჩანართებად აღსარე-ბულ სტროფთაგან უნდა იყოს თუ არა ეს ნაკ-ლი შეესებულ. — შეიძლება ჩვენ ზოგი ნამდ-ვილი სტროფი რუსთველისა ჩანართად მოგვეჩ-ვენა, ზოგი ჩანართი კი ნამდვილი რუსთველის სტროფად დავტოვეთ ტექსტში, მაგრამ ეს მხო-ლოდ რაოდენიმე შემთხვევა იქმნებოდა, რაის ვასწორებას შემდეგი კრიტიკოსი ტექსტისა შე-

ეპში (= სტროფში) მოცემული ერთი - პოლი-ტიკური ჰორიზონტი, დაახლოებით, ხალიფა-ტის ძლიერების დროინდელია“ (იხ. მისი „ვ. ტ.“-ის საკითხები, გვ. 28). — რატომ უფრო გვიანდელიც არა? და რა კავშირი აქვს ამ გა-რემოებას თვით სტროფის „სიყალბესთან“ თუ სინამდვილესთან?! და თვით სტროფის სიმანინ-ჯაც არაფერა გვეუბნება?!

\*\*\*) საკვირველია აგრეთვე, რომ ი. აბულაძეს ეს სტროფი (788) როგორც ნამდვილი, რუსთველ-ლისა, ტექსტში დაუტოვებია!

\*) ბოლო წელთა გამოცემანი „ვ. ტ.“-ისა საუ-ბედურად მხოლოდ გვესმენია, თვალთ კი არ გვიანხავს სამშობლოთგან მოწყვტილობის გამო.

სძლიებს. თუ მკითხველი ძნელად გამოეთხოვება ჩვენ შიერ აქ არა რუსთაველისად აღსარებულს, დიდი ხნითგან საყვარელი ტაძრებს: „რასაცა ვასცემ შენია, რასც არა — დაკარგულია“, „საბრალოა, ოდეს ვარდი დავეთრთვილოს, დაცაეზროს (უკვე წინათ „ყალბად“ ცნობილს), „სჯობს სიშორე დიაცისა“, ან და ისეთ სტროფებს, რომეორც არის მაგ. აფთხანდილის სიმღერა (ჩან. 124.

3-4), და სხვ., ჩვენ ამაზედ ვუბასუხებთ: სჯობს რუსთაველის ტექსტს რაიმე აკლდეს, რაც სრულიად არ ამტკირებს მის სიდიადეს და სიშვენიერეს, ვიდრე იგი შეიცავდეს რასმე უცხოს და დიად ჩრდილის მიმაცენებელს მისი შეუღარებელი ხელოვნებისათვის.

მიხეილ წერეთელი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**გრიგოლ რობაქიძეს**

(„ორი ფოთლი“-ს გამო)

შენ გამოაპკვეთე სიტყვებიდან ძვირფასი ქვები.  
ფერები: ლუწი, მეწამული და ყარამფილი.  
ალმასი, რვალი, ხან მოქნილი ვით ტყვია  
რბილი: —  
— ზეკაცთა აზრი და შითოსი ბრძენი მოგვების  
საკუთარ ფიქრთა და გრძნობების ხანძარი  
თბები,  
როცა იწვები ბნელი ღამით ვით თაფლის ცვილი.  
იელიტეს, დალისა და ლამარას მწუხარე  
ჩრდილი: —  
— მარმარილოზე დანთხეული სისხლის წვეთები.

ყველა ოცნება, სიხარული და იმედები.  
გაფანტა ქარმა, როგორც ქორმა გუნდი  
ტრედების.  
და დარჩი მანც—ქეზნარტი და სულმხურვალი.  
სანამ ტიტინებს ტყვილ ქართულად თუნდ  
ერთი ბავში,  
სანამდე უჭრის თუნდ ერთ ქართველს სიტყვა  
ან ხმალი  
გროგოლ! იცოდე შენი სულიც იქნება მათში.  
გიორგი გამყრელიძე  
იანვარი. 1953 წ.

**ს ი ზ მ რ ე ბ ი**

**I**

ჩავეძინება... რულში ჩაგძირავსა...  
ფერად სიხარების გაიბმის ძაფი,  
როგორც მდინარისა რძისფერი ქაფი  
ძველ დახვედებულ წისქვილის პირად.  
თუ ნდობა მწველი ღლისით ვერ ახდა,  
ღამე სიზმრებში მიდევინაცვლებს;  
და სინამდვილეს შიშველს და გამხდარს  
ჭრელს, აბრეშუმის ჩააცმევს საცვლებსა  
და სანახავეს ნათელსა და მზიანს,  
სპარსული ნოხებათი ფეხქვეშ გაივებს.  
ვხედავ უდაბნოს ცხელს და სილიანსა  
და ცივ ქვეყნების უღრან ტაივებს.  
კანადის წყლები: ცივი, ანკარა.  
ოჭროს თევზები ჩინეთის ტბებში.  
ლომის ღრიალი: — ატლასის მთებში,  
მთვლემარე ინდი და ნიკარა —

თვალწინ მქმლება, უცხო მითვებით  
მსოფლიო სახისა ჭრელ ალმანახებს  
ფურცლავს სიზმარი ყვითელ თითებით  
და ყოველივეს ცხადად მანახებს.

**II**

მინდვრები, წყლები ჭალა თუ მთები  
სხვა და სხვა სახე სიზმარი მალი  
იშლება როგორც ყორანის ფრთები  
შრიალა, შავი, და იდუმალი,  
მაგრამ უეჭრად სურათი ქრება  
ვით ძველი ზღაპრის ჯადო — ფერი  
ოცნება ჩემი სხვა სახეთ ჰკრებავეს  
ვხედავ სიზმრების მახინჯ სერიას...

**III**

აწეულ კუზით მონუცი ქალი,  
ჩამტყდარ კბილებით, ბნელ სათვალეთი;



გამიშლის კარტებს ტუჩთა კანკალით  
 ხელში უჭირავს ყვავის ვალოეტი.  
 ცხვირი: — ნისკარტი კაპუტე ქორის.  
 მუმი... ჩონჩხი... ყრუ ნისტურია...  
 და გამხმარა შუბლზე დაუწერია: —  
 შევ ასოებით „მენეტო მორი!“  
 შენ კუდიანო ჩემგან რას ელი?  
 რას მოგცემს ზვაგი და ქარტეხილი?!?  
 ჰო, ბედი ჩემი ხიდივა ძველი  
 ეხლა ჩაშლილი და ჩატეხილი.  
 თუ ნდომა მწველი ვერ ახდეს დღისა,  
 სიზმრებში მაინც დამატებოს წამნა.  
 განვედი ჩემგან... დაგწყველოს ქრისტემ  
 და წმიდა გიორგიმ სამოცდასამმა

IV

სხვა გვარი საურათებს ძილი მომისევს.  
 სასტიკ სიზმრების ვერა ვუძღუებ შვავებს.  
 ეხედავ: მძლავრი ტალღებს მეწამულ ზღვისას  
 და შევ გველეების შხამიან თავეებს.  
 ვერ გავიქცევი წყეულებს მგონი,  
 და მოვარდომ მათ მინდა თვალი.  
 თითქოს შევიქენ ლაოაკონი  
 მხრებს მეჭიდება გველეების რკალი.  
 ბანჯგველიან ქაჯის უხეში მასხა  
 სულს შემხუთათეს, გულს დამედება.  
 მინდა ვიყვირო, ვერა ვიღებ ხმასა.  
 მინდა გავიქცე, ფერხთ მეკვეთება.  
 გამეღვიძება... საშინელი სიზმარს  
 ქარს დავადევნებ მსხვერუელ ნინებათ.  
 აფანთებ სანთელს და ვიწერ პირგვარს  
 სანამდე ისევ ჩამეძინება...

V

მთერალ, მეამბოხე ქერა მეზღვაურს  
 შე დავამზავსე სიზმრები ჩემი,  
 მარად ტალღების რომ ისმენს ხმაურს  
 და მარად ზღვებში რომ მიყავს ცემი.  
 მან კაპიტანი შეპჭობა ძალით  
 ჯანყის ალაში გემზე ასწია,  
 მაგრამ არ იცის ნავიგაცია  
 და არც მიზნისკენ სავალნი გზანი.  
 ეგრედ, როს დამლოქს ფიქრი და შრომა  
 და ძილი ტკბილი მომპარავს თვალებს;  
 უცხო სიზმართა ფერადი ქართობა  
 მთერალ მატროსივით მსხეტიალებს.

VI

შე ნეტარება დიდხანს ვეძიე,  
 მაგრამ ამ ქვეყნად ვერსად ვერ ვპოვე.  
 ქარივით ფრთამალს ვერ მივეწიე,  
 გამოვიტირე და მივატოვე.  
 ან კი რას ნიშნავს ცხვირით ბედი  
 ქარივით ჩქარი და წარმავალი?!?  
 ვინ მოუხარა ქარიმხალს ქედი  
 ვინ შეუცვალა წყლებს გზა სავალი???  
 როგორც ნამებით სოფელი ყანა,  
 ანდა ცეკვის დროს ფერადი ქოში  
 ილეუებს... ჰქრება ფატა მორგანს:  
 მწველი სურვილი — კრულ უდაბნოში.  
 აღელდეს ზღვანი... მოვარდეს ქარი...  
 იყეფოს სეტყვამ ტყესა და ეელში.  
 მთელი სიცოცხლე სიზმარი არი,  
 სიზმარი ჭრელი: — ვალეტით ხელში.

გიორგი გამყრელიძე

უ ე მ ო ღ ზ ო მ ა

გაცვითლებულა შემოდგომის ნტკნარი  
 ფოთოლები,  
 მზით ნალოთები დედა - მიწა  
 ყინვებს ეძახის,  
 როგორც მერცხალი  
 მზის სხივებმა წაიღო სითბო,  
 სიცოცხლეს ითხოვს  
 ღამეები ოქროს აკვიდან.  
 ღრუბლებთა დენამ შავი ჭვირთი მთვარეს  
 აჰკვიდა,  
 აკვილდა ქარი  
 ტყის ჩონჩხებში თეთრი ყაჩაღი,

მარჯვე ნაჯახი  
 გლეხის მკლავმა კარზე დაჰკვიდა.  
 მზისარა ღამე  
 სარკმელიდან ცეცხლზე კანკალედს.  
 სიმინდის რჩევა, ფელამუში, ანხლი მატარი,  
 ღვივის ღადარი,  
 არდილები ქონის კედელზე  
 შრომა, ზღაპარი,  
 მონაყოლი ამბავთა დენა,  
 ოჯახის დედა  
 კერიაზე ქვების სიმღერა.  
 შავი წისკვილი, ვირის შრომა, თეთრი ბათმანი,

გზები ნათალი

გაძარცული სიციხე - სიცივიით,  
 ტყეების სუნთქვა იკეცება ვით ხელთათმანი,  
 მთის მწვერვალდიდან თეთრი ნისლელებად  
 ჩამონარათავი.  
 დახედავ მიწას ვინ წაილო ყოფნა ამდენი...?  
 ია - ვარდები,  
 გაზაფხული ზაფხულის ლხენით  
 ფრინველთა ენით  
 მოქარგული დილა - საღამო

სილი საამო

ყვავილები ბაღში ჩურჩული...?  
 ვადამტვრეულ ტირიფები მთვარის სარკეში,  
 ზამთრის მსხეში  
 შემოღვრომა კუბოებს წხიდავს,  
 მოსწყვიტა მზიდან  
 მიწიერი სიციცხლის სატრფო,  
 და ქოხებს ათბობს დამსხვრეული ტყეთა  
 ტირილი.

პარიზი. 1952 წ.

გ. ყიფიანი.

დ ღ ი უ რ ი თ გ ა ნ

„მამული“, მესუთე რვეფელი. წავიკითხე, ორი შაირი: „ძველი სიმღერა“ ციორგი გამყრელიძისა და „ტფილისური ნატურ-მორტები“ ციორგი ლოლუასა.

გიორგი გამყრელიძე ცნობილია ქართულ ემიგრაციაში. იგი ნათესავია პაოლო იაშვილის: არა მარტო სისხლით — მგოსნური გზებითაც, ხოლო ამ გზებაში იგი თავისებურია: მას აქვს საკუთარი ლირიული ხმა. ლირიკოსი, ეს ცნობილია ყველასათვის, პოეტია. ხოლო აქ მაინც არსებობს ერთი გამორჩევი ნაჟანაი. მოვიყვან მაგალითს. ყველაზე უფრო დიდი ლირიკოსი, პირადათ ჩემთვის, არის ჰელონთა ქალწული საფო. ყოველი მისი სიტყვა გხედება გულში: გხედება ისე, რომ გული გიტოკავს: გიტოკავს ისე, რომ ამოვარდნას აპირებს: ამოვარდნას აპირებს, რომ სხვა ცულს ვადაეხსნას. აი ნამდვილი ლირიკა. პოეტისათვის სხვა საზომი მაქვს. იგი მხოლოდ-და-მხოლოდ ამ ფორმულით განიზომება: რამდენად ახალია მის მიერ ხილული სამყარო, რამდენად უნივერსალურია ეს სიახლე და რამდენად უკანასკნელი პლასტიურად ჩამოსხმული. ვეჭრობ: ნათლიე დავანახე მკითხველს „ის“ ნაჟანაი, გამორჩევი. ეწლა იგი შემდეგსაც ვაივებს. ვთქვი საფო-ზე: „ყველაზე უფრო დიდი ლირიკოსი“—ეს არ ნიშნავს ყველაზე უფრო დიდი პოეტი.

გიორგი გამყრელიძე ლირიკოსია. მის შაირებში ბევრია უფრო ლირიული ვიდრე ხსენებული „ძველი სიმღერა“. გარნა ამ „სიმღერაში“ ერთი - რამ არის საკვირველი. ყოველი ტაეობი შაირისა ბოლოვდება ნიკო ბარსთაშვილის სეფიანი ამოძახილით „ჰომ ნაპირნო, არაგვის პირნო!“ ვთქვათ პირდაპირ: მოყვანილია იგი რო-

გორც „ციტატა“. ამავე დროს ეს არაა „ციტატა“ — აი საკვირველი. რამდენჯერ მსმენია „ჰომ ნაპირნო, არაგვის პირნო!“ რამდენჯერ ვადაუშლია ჩემთვის ამ ამოძახილს სეფდით ავსილი გული ქართველისა! ვისმენ მას გამყრელიძის შაირში — ხმა სხვაა. რა საკვირველია, ეს ძხილი: „იქ“, საქართველოში მოსმენილი, სხვაა და „აქ“, ვადმოხვეწილობაში ვაგონილი, კიდევ სხვა. ხოლო „კონტექსტი“ მისი მინც ერთი-და-იგივეა. გამყრელიძის შაირში კონტექსტი ვადმოხვეწილობა თვითონ და: ამოძახილი ამით შდაფრდება. და ეს ხდება ისე, რომ ავტორი ვადმოხვეწილობას ერთი სიტყვითაც არ იხსენებს — მით უფრო მეტყველია შაირი. ვერ ვიტყვი: სრულყოფილი იყოს უკანასკნელი კონტატომის მხრით. გარნა „ოსტატობა“ თავი-და-თავი არაა.

გიორგი ლოლუა უცნობია: ახალი ემიგრანტი უნდა იყოს.

„ტფილისური ნატური-მორტები“ ლოლუასა სხვა რიგის ლირიკაა. ასურათებულია ჩენი დედა - ქალაქი: დილით. ეს „ასურათება“ შედეგია ნამდვილი. ქართველ მგოსანთა შორის ყველაზე უფრო მოხვედბა იგი გულში ი. გრიშაშვილს, რომელიც ყველაზე უფრო გზნება ძველს ტფილისს და ემარჯვება თანაც ამ გზეების მგოსნური გამოსახვა. (უნდა განვსაზღვრო: ეს არაა „ძველი ტფილისი“ ბესიკისა.)

წავიკითხე ეს ორი შაირი: ვავიხარე როგორც მწერალმა და როგორც ქართველმა.

გრიგოლ რობაქიძე

2. 3. 1953, ყენევა

ქართული ხელნაწილები და ძველი წიგნები როგორც წიგნსაცავები

ბ. ბორჯას ფონდი.

III.

ვატიკანის ბიბლიოთეკის ბორჯას ფონდში დაცულია ხუთმეტრი ქართული ტექსტი. ესენი არიან:

I. ბორჯა ჯეორგიანო № 1. ქართული ქრონიკა ვახუშტი ბატონიშვილისა. კარგად აკონსტრუქციონირებული ტანის მხედრული ხელნაწერი ლამაზი ხელით, მომწვანო ქალღმერთი, შავი მელნით. ყდად ნახმარია ფიცარი ჩავ - ტყავ გადაკრული. ხელნაწერის სიდიდე 33×21, ნაწერისა 24×14,5 სანტიმეტრი. არც დამწერი ჩანს, არც ნაწერის თარიღი. ამ უკანასკნელის შიგთავსი ადვილია: ქალაქის ფილიგრიანა - ჭვირნიშანი უჩვენებს მრავალ მოხაზულობას გვირგვინით და ყვავილეთით მოხარატებულს. შიგ ჩაწერილია უკანა ტოტემზე აყენებული დათვი იკრძელ ტარის ნაჯახით მხარზე. ხოლო ეს ფილიგრანა ნიშანი ყოფილა სადა იაკობლევას იარსლავის ქარხნისა 1781 წლის წარწერით (იხ. პ. ლიხაჩევი, პალეოგრაფიკული მონაწილე ბუმაყინის ვოლიანის წინა კოფ, მეორე ნაწილი, სანკტ - პეტერბურგი 1899, გ. 281 № 3579). ქალღმერთი აქა-იქ მოსჩანს რუსული მთავრული ასოები და წლები, მაგ. 1789, 1792. ამით ირკვევა რომ ხელნაწერი შეუწყვიტა მე-18 საუკუნის ბოლოს.

ეს ხელნაწერი გადაუციათ კარდინალ ბორჯასათვის ქ. ველეტრის მუხეუმისათვის. ბორჯას ის მოუთმავებია პროპაგანდის არქივში, საიდანაც, მთელს ბორჯას ფონდთან ერთად გადაუტანიათ ვატიკანის ბიბლიოთეკაში.

ხელნაწერი შეიცავს სულ 477 გვერდს არაბული ციფრებით. მე-477 გვერდის შემდეგ, ჩაკერებულია ხუთი დიდი ფურცელი 41×32 სანტიმეტრი სვეტებად დაყოფილი: წარმოადგენს სხვა და სხვა მთავრებისა და პაპების ქრონოგრაფიას.

შინაარსის მხრივ ხელნაწერში დაცულია ვახუშტის გეოგრაფია შეერთებული ქართლის ცხოვრებასთან: თვითივე ქვეყნის მატანიეს წინ უძღვის მისი გეოგრაფიული აღწერა. სათაურის გამოყვანილია მთავრული ცრთმანეთში ჩაბეჭეული წითური ასოებით:

ტომობა და შთამომავლობა ქართველთა (გ. 1). შეიცავს შემდეგ ნაწილებს:

1. შესავალი, გვ. 1-18; 23-25: ვახუშტის გეოგრაფიიდან: ზნეთათვის, კერპთათვის, მეფეთათვის, წესთათვის... (იხ. მ. ბროსსეს მიერ გამოცემული გეოგრაფია 1842 წ., გვ. 4-52) აქაც და იქაც იგივე დედანია წარმოდგენილი.
2. გვ. 25-188: „შენობისა და კულად დაყოფისათვის“. (შეადარე მ. ბროსსეს ფრანგ. გამოცემა „ქართლის ცხოვრებისა“, გვ. 15-19...).
3. გვ. 189-195 „უწყება მკითხველთათვის“ (წით): „ბრწყინვალე მღვდის გიორგის ცხოვრება და მის ქვეითთა მეფეთა აღარა მოიპოების...“ (იხ. იგივე ტექსტი დ. ჩუბინაშვილის გამოცემაში („ქართლის ცხოვრება“, მეორე ნაწილი, 1854, გვ. 1-10 და სხვა).
4. გვ. 196-229: „აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღვრით მათით მდინარეებით და ადგილთა მას შინა შენებულებათა“ (ასეა სინგერით. (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 135).
5. გვ. 230-295: „შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამსამეფოდ და ხუთი სამთავროდ ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა“ (წით.). (იხ. ჩუბინაშვილისა, გვ. 11 და შემდეგ.).
6. გვ. 296-344: „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა ანუ კუხეთისა კულად თუ შეთისა და დიდოეთისა (წ.). (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 283).
7. გვ. 345-354: „აღწერა აწინდელისა ოცუთისა...“ (წ.). (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გ. 424).
8. გვ. 354-392: „აღწერა საჩინოთა ადგილთა სამცხე - საათაბაგოსათა“ (წ.). (იხ. გეოგრაფია, გვ. 70).
9. გვ. 393-459: „აღწერა იგორისის ქვეყანისა ანუ აფხაზეთისა ანუ იბერეთისა“. (წ.). იხ. გეოგრაფია, გვ. 336.
10. გვ. 460-477: „ქრონიკონი, თუ ამა და იმ წელს რა მოხდა“. იწყება თამარ მეფის მიცვალებით და თავდება მეფე სოლომონის ამბავით: „უმა (1753 წ.) — მეფე სოლომონ ვანადს იმერთა. მან ფაშა ჩამოიყვანა და დაიპყრო იმერეთი“.

სანიმუშოდ და გულისხმიერად მკითხველის საყურადღებოდ მომყავს ერთი ადგილი, გვ. 188: „გარნა გიორგი მეფე მყოფელი ამითი და გამგე

\*) იხ. „ბედი ქართლისა“ № 13.

ნაშთთა ქვეყანათა იყო ფროიად მწუხარე განხეთქილებისათვის სასმეფოაჲსა ესე ვითარისა. არამედ კუალადცა მცდელობდა შეერთებასა. და გვრეთვე გებასა ივიორგიისასა, გარნა ველარა ღონის მძიებელი და მპობელი გარდაიცვალა მეფე გიორგი და დაფლეს მცხეთას<sup>2</sup>.

II. № 2. ღია ჯგჯგოხეთი. კათოლიკე მისიონერების ნაღვაწი.

III. № 3. ახალი აღთქმა დაბეჭდილი მხედრულად პეტერბურგს 1818 წ. აწი ხელნაწერებიდან წიგნთა ცანყოფილებასი გადმოტანილი.

IV. № 4. მამათა მოძღვრებანი. შიგ წარმოდგენილია შვიდი ქადაგება ი. ოქრობირისა, თითოეობიდან კვიპრელის, გრიგოლ ნოსელიის. კირილე ალექსანდრელის, ეფრემ ასურის, სოფრონ იერუსალიმელის; თეოდორე კვირელის: „აღსარებაჲ მართლისა და უბიწოებაჲ ქრისტიანეთა სარწმუნოებისა“. და წმ. პანტელეიმონის წამების ორი ნაწყვეტი.

თეოდორეს საკუთრებად არის გამოცხადებული „აღსარებაჲ“, რომელიც არ სჩანს ბერძნულ ენაზე. შეიძლება ამ აღსარების ძირი იყოს ბერძნულით ამომავალი. თვითონ ტექსტი ალბად წარმოადგენს ქართველების ძველს მრწამსს, რაკი მისი ნაწილის ვარიანტი ჩვენ გვხვდება უკვე მაქსიმე აღმსარებელის ცოვრებაში, ექვთიმე მთაწმინდელს რომ შემეთხავს. თუმცა ხელნაწერებში ამ აღსარების „თარგმან“ მიეჩემა თეოფილე ხუცეზ - მონაზონ<sup>3</sup>), რომელიც მოღვაწეობდა მე-11 და მე-12 საუკუნის ვასაყარზე. ეს თხზულება დიდმნიშვნელოვანია არა მარტო როგორც სარწმუნოების სარკე, არამედ როგორც ქართული სიტყვიერების ძეგლიც — საესე ფილოსოფიური - თეოლოგიური ცნობებით.

ამ ხელნაწერს კიდევ სხვა მნიშვნელობა ენიჭება. ფურც. 59b - 60a მითავსებულა „მოთხრობაჲ“ სულმკიარე ვასილოვრაფიისაგან<sup>4</sup> რიცხვსათვს დასაბამითგან გარდასრულთა წელითაჲსა“. იწყება „ადამისითგან“ და თავდება შემდეგით (ფურც. 60a): „და ოდეს ესე დაიწერა ქრონიკონი იყო სამას ორმოც და სამი. მას ჟამსა მოიწუა ტფილისი ქალაქი (დავითის მიერ) დიდისა მის ხელმწიფისა რომლის სახსენებელი და კურთხვა იყავნ აწ და უკუნისამდე“. მას ხელნაწერი შეუდგენიათ ქრონიკონის 343 წელს, ე. ი.

(780+343) 1123 წელს და ამავე წელს დავით აღმაშენებელს აუღია და მიუწვია ტფილისი. ქართული მატრიანის თანხმად ქალაქი აღებულ იქმნა 1122 წელს, უცხო მწერალთა გადმოცემით ამ ამბავს ადგილი ჰქონდა 1121, 1122 და ასევე 1123 წელს. იხ. მ. ბროსეს H. de la G. I. გვ. 3467; მისივე Adit et élaireiss. გვ. 236-241).

ყველა ცნობები რომ შევაჯამოთ, შივიდებ: მეფემ ქალაქი გარემოცვა 1122 წ. და აიღო 1123 წ., ვინაიდან ქალაქის აღების წელსვეა შეწყობილი ჩვენი ხელნაწერი და ამისათვის მის ცნობაში ეჭვის შეტანა დაუშვებელია, იმისდა მიუხედავად, რომ ქალაქის მოწვაზე ყველა სდუმს როგორც ქართველი, ისე უცხოელი, თვინც ერთი არაბი ისტორიკოსისა — ელ აინი — მე-14 საუკუნითგან, ამიტომ აქაც მართალი უნდა იყოს ჩვენი ხელნაწერი. ეს ხელნაწერი შეისწავლა და მისა აღწერილობა გამოცვა ზკითველისათვის უკვე ცნობილმა მ. არნ. ფან ლანცუტმა, ვატიკანის ბიბლიოთეკის ვიჩე - პრექტორმა<sup>5</sup>).

V. № 5. „შემოკლებული ქართული ღრამატოკა, გამცემული სოლომონ დოდაფისა მიერ, ტფილისი 1830 წ., სტამბასა შინა გამომცემლის კომიტეტისა“ დასაბეჭდათ ნება დართული 26 აგვისტოს 1830 წ. ცენზორი ს. სენკოვსკის მიერ. (გვ. 1-80). ეს დოდაფი, ის ს. დოდაფილია, რომელიც 1832 წლის შეთქმულების დამო რუსებმა ციმბირში გადაასახლეს, სადაც გაქრდაცვალა 1836 წ. აქ შესანიშნავია სხვათა შორის გვარის უკვე გადარუსულება. ეს წიგნი პროპაგანდის არხივისათვის გადაუცია პროპაგანდის ქართველ მოწაფეს გლაკოვს<sup>6</sup>).

VI. № 6. ოთხავი. ხელნაწერი მხედრულად, შავი მელნით ქალღვზე. ყდა ფიცრისა შავტყავ გადაკრული. ზომა: 22,1/2 x 15 სმტ. სულ 404 გვერდი. ალბად მე-17 - 18 საუკუნისა. ტექსტი დაყოფილია თავებად და მუხლებათ ეხლანდელი ჩვეულების თანახმად. დაყოფილია ორ-

4) ბორჯია ეგორჟის 4 (ლუ მუზეონ 61, 1949. გვ. 75-88).

5) ანტონ გლაკოვი დაიბადა ქუთაისს 4 აპრილს 1808 წ. პროპაგანდაში სემინარისტად მიიღეს 14 მარტს 1832 წ. მღვდლად იკურთხა და პროპაგანდის ქოლგე დასტოვა 2 მაისს 1841 წ. (პროპაგანდის მოწაფეთა რეგისტრი II, გვ. 233). აქვეა მისი დახასიათება უმფროსების მიერ: „კაცო ღვთისმოსავი და კეთილ - მოსურნე, თუმცა საქმეების წარმოებაში ოდნავ გამაბეზრებული“.

2) თეოფილე უნდა იყოს მისი გადასმეტებელი და თანამედროვე კილოს მიმცემი.

3) მეფეთა და მათგლით მთავარ მოვლენათა წელთ - აღრიცხვა.

სვეტად. სახარებათა სათაურები შედგენილია ხუცურნი ერთმანეთში ფრიად ჩახლართული მთავარი ასოებით. ყოველ სახარების პირველი მუხლის დასაწყისში ასო, ხუცური-მთავრულ, ჩახატულია ყვავილების ოთხკუთხედში, ან შავად ან წითლად. თვითველ სახარებას წინ უძღვის შესხმა მახარებლისა. ზოლო ფურცელზე (უსათავალოა) მოცემულია ლათინური ლექსი. ეს სახარება იმავე რედაქციისა, რომელზედაც ზემოდ იყო ლაპარაკი (იხ. „ბ. ქ.“, № 13). ანტ. გლაკოვის მიერ პროპაგანდისტისათვის გადაცემული 3 მაისს 1841 წელს<sup>6)</sup>.

**VII. № 7. კურთხევანი.** ხელნაწერი ნუსხა-ხუცური, ფრიად ხარვეზიანი, აღზად მე-13 - 14-ე საუკუნეს გადაწერილი. მოკლე უკვე აღწერილია ჩემს გამოცემაში უძველესი ქართული ლიტურგიები, ლოვანია. ბელგიაში, 1950, გ. II.

**VIII. № 8. თეოდორე სტოდიელის სწავლანი.** წითელ ყდიანი. აკინძული - ხუცურ - ნუსხური ხელნაწერი ეტრატზე. სულ 186 ფურცელი. ზომა: 19,5×15 სმ. თავი აკლია. პირველი რვეულისგან მარტო კეფი დაჩრდილა. ფრც. 186a - 186b შემდეგ წარწერას ვნახულობთ: სახელითა ღმრთისათა, მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და უბიწოდ მშობლისა მისისა ქალწულისა მარიამისათა და პატიოსნისა ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა და წმიდისა თეოდორე სტოდიელთა წინამძღუროსა სწავლა თვისთა მოწაფეთა მიმართ აღიწერნეს წმიდანნი ესე წიგნი ხელითა ფრიად ცოდვილისა ელიასითა: ბრძანებითა: ბერისა ჯვარისა წმიდისა გიორგისა ეკლესიისა მორღლისა (მოდღურისა?) მიწოდელთაგან (ასეა): ჩვენთა სულიწა ძმათა და სულის დათა: აწი(?) შეუნდენეს ღმერთმან“. თანახმად ამ აღწერილისა სწავლანი ვადაწერია ესამე ფრიად ცოდვილს ელიას აღზად წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრისათვის.

შინაარსი ცხადია: თეოდორე სტოდიელის „ქადაგებანი მარხვისანი“. ი. სტოდიელი წინამძღვარი იყო სტოდიელთა საეპისკოპოსოს კოსტანტინეპოლში; გარდაიცვალა 826 წ. მისი სწავლანი ქართულად უთარგმნია იგიორგი მთაწმინდელს († 1065 წ.).

ხელნაწერს შერჩენია დიდმარხვის ყოველ დღიური მოძღვრებანი: პირველი შეიღველისა

სამშაბათითგან დაწყებით, რაკი ორშაბათის სწავლისაგან მარტო ბოლოა არის გადარჩენილი; მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მსგეფისა ქადაგებანი სრულიად (ფრც. 1--150a); მეექვსე შეიღველია მ მოძღვრებანი ორშაბათითგან — ბზობის პარასკევადის (ფრც. 150b - 172b); ამას მოსდევს სწავლანი: ფრც. 172b - 176b: ორშაბათისა ენებისასა; ფრც. 176b - 180a: სამშაბათისა ენებისასა; ფრ. 180a - 183b: აღესებასა, ე. ი. აღდგომად; ფრ. 180b - 186a: „აღესებასა შემდგომად ამბოროს ყოფისა ესე საკითხავი ქრთა შედა იკითხებოდის: თქმული წმინდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქრობირისა. გვაკურთხენ“.

სულ გვაქვს, პირველის გამოკლებით, ორმოცეა სწავლა თ. სტოდიელისა და ქრთი ოქრობირისა.

სანიმუზოდ. პირველი შეიღველია სამშაბათის სწავლა იწყება ქრთით (ფრ. 2a): „მანო და მამანო. ყოველსა ჟამსა და ყოველსა დღესა სარგებელ არს ხსენება სიკვდილისა. და ჯერ არს რათა ყოველსა ჟამსა. ამიერ განსვლისა ჩუენისათვის. და მერმისა მის საქმეთა ჩუენთა სიტყვის მიცემისათვის ვზრახვიდეთ: ხოლო ფრიად უმეტეს აწინდელსა ამას ჟამსა მარხვისასა“.

**IX. № 9.** აკინძული მხედრული ხელნაწერი. შეიცავს 14 ქადაგებას ახალ ქართულად. ესეც დოდაშვილის გრამატიკას და სხვა რუსულ-ქართულ გრამატიკასთან ქრთად ანტ. გლაკოვის მიერ პროპაგანდისტისათვის გადაცემული 3 მაისს 1841 წ.

**X. № 10:** თომას კემფელის მიბაძვა ქრისტესი; № 11: მიწყალეს ვანმარტება; № 12 და 13: გული მარამისა; № 14: ჯვარი მსუბუქი; № 15: გული შემუსვრილი. ეს აქვს ხელნაწერი ლათინთა მისიონერების ნაწარმოები უნდა იყოს მე-18 - 19 საუკუნისა.

**XI. ახლად მიიღო ვატიკ. ბიბლიოთეკამ მცირე ნაწევტი თენისა.** ხუცური - ნუსხური ხელნაწერი. ფურცლები დაშლილია. შეიცავს: ამბაკუმის, ბენეფორ ბრძენის, ბარნაბა მოციქულის და ამონა წინასწარმეტყველის სალიტურლიო წესსა და ვანგებას. ნაწილობრივ.

IV

1. იქვე იხანება დაბეჭდილი სალიტურლიო წიგნები: კონდაკი, ჟამნი, დაბადება ორტომად, ტფილისი 1774, ორი ცალი. იქვეა პროპაგანდიდან შესული სამოციქულო, შემდეგი სათაურით:

<sup>6)</sup> სწინს ილაკოვი პროპაგანდიდან გამოირიცხულა ორ მაისს. მავრამ ჯერ კიდევ რომს დაჩრჩენილა.

„სადიდებელად წმიდისა თანაარსისა და განყოფილისა... სამებისა... დროსა ყოველად უბრწყინვალებისა უკეთილმოსახურებისა და უმაღლესისა ყოველისა საქართველომასა მეფისა ირაკლი მეორისა და უკეთილმოწმუნისა და დედოფლისა დარეჯან, დადიანის ასულისა და კეთილ-მორწმუნეთა მეფის ძეთა და ასულები: კუროთხევითა უნეტარებისა და უწმინდისისა ყოველისა საქართველომასა პატრიარხისა ანტონ ძისა მეფისა ირაკლი მეთორისათა (ანტონ მეორე). დაიბეჭდა წიგნი ესე სამღუდელთა სამოციქულო სამეფოსა ქალაქსა ტფილისს. პალატასა სამეფოსა...“

წელსა დასაბამითგან სოფლისათ ესეთ (1791) ხოლო განკორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა ჩუა (1791) თთუჲსა ფებერვარსა, რიცხუსა კვ

(26)“. წიგნი დაბეჭდილია „ორამატიკისა კანონსა ზედა ვასწავლილითა... სიონის იკონომოს დეკანოსისა ოსეს ძის იოანესითა... ველითა მესტამბე რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილისათა“. ხოლო „გამგებელი და ზედამხედველი ბეჭედისა“ ყოფილა „მისი უმაღლესობის კარის ხუცესი ქრისტეფორე მარტყოფელი კეცქრაშვილი“.

თითქმის ამ ყაიდაზეა შედგენილი ყველა ირაკლი მეორის მიერ დაბეჭდილი წიგნების „საგამომცემლო ჩვენება“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მ. მ. თარხნიშვილი

რომი.

**ზოგიერთი ცნობები დასავლეთ საქართველოს ბაგრატიონებზე**

(ექ. გივი კობახიძე)

(დასაწყისი იხ. „ბ. ქ.“ № 13)

რა ბედი ეწვია დავით ნარინის შთამომავლებს? გამაგრდა ეს შტო ბოლომდე — ესე იგი სოლომონ მეორის (1790 - 1820) მეფობის დასასრულამდე — თუ არა?

ვახტანგის შედგენილ ტაბულაში, დავით ნარინის შთამომავლობა ორი თაობის შემდეგ წყდება. დავით ნარინის შემდეგ მეფობდა ში მისი კოსტანტინე (1293 - 1326). შემდეგ მეორე ძე — მიქელ (1326 - 1330). მიქელს მოჰყვა მისი ძე ბაგრატ ერისთავი - ერისთავი (1330 - 1372). ვახტანგის ტაბულაში ნარინის შტო აქ წყდება. რაშია საქმე? ვეღარ შესძლო ვახტანგმა დავით ნარინის შთამომავალთა დანარჩენ თაობათა კავშირის აღდგენა? ამაზედ ვახტანგის ერთი მეტად საინტერესო ცნობა, რომელიც მას გენეალოგიურ სქემაზე თავისი ხელით მიუწერია, აი რას გვაუწყებს:

„ქ. მრავლის ღირითა და შრომით ეს ადამა აქათი მანგრატიონთ ნათესაობა მე ბატონიშვილმა ვახტანგე გამოვიღე და ასე აღწერე ვიდრე ჩვენადმდე. ხოლო იმერეთის მეფისა და კახის ბატონის ნათესაობა მრავალ ვეცადე შემეტყო, რომლის ტომისაგან იყო და ვერვისგან შევიტყვე \*), თვასა (!) \*\*) გასინჯეთ, და თუ მდაბალი

ვინ გინდა ბაგრატეონთ ნათესაობა დაესწერეთ, მათც უფრო დაესწერდით. და თუ თვითონ იბრუნონ და რომლისაც ტომისაგან არიან და დაეწერებინ, მე დიდათ მიამება“. \*\*\*).

ვახტანგის ამ მინაწერიდან იჩვენება, რომ მას იმერეთის მეფისა და „კახის ბატონის“ გვარეულობა ბაგრატიონად არ მიიჩნია. ეს შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „თუ მდაბალი ვინ გინდა ბაგრატეონთ ნათესაობა დაესწერეთ, მათაც უფრო დაესწერდით“-ო... ე. ი. ბაგრატიონებად სთვლის მხოლოდ ქართლის მეფებს.

იტყობა ვახტანგის თანამედროვე საზოგადოებაც დაინტერესებული ყოფილა დინასტიურ-გვარეულოვანი საკითხებით და გაურკვეველობასა და აზრთა სხვადასხვაობას მაშინაც ჰქონია ადგილი. საკვირველია მხოლოდ ის, რომ, სწორედ ვახტანგმა ვერ შეძლო ამ საკითხის გამორკვევა. მის ხელში სხვადასხვა დარგის, ლიწების და დროის აუარებელმა საისტორიო მასალებმა გაიარა და როგორ მოხდა, რომ იგი ვერ მისწვდა ბაგრატიონთა განშტოებების ჭეშმარიტ გაგებას? მან იცოდა, რომ რუსუდანის მიუღწევ იყო სელ-

\*\*\*) იხ. თორ. ჭყონიას დასახელებულ შრომაში „დამატება პირველი“ — ვახტანგის სქემა. ჩანს ვახტანგს ეს სქემა მისი შეუღდენია, როდესაც იგი ქართლს განაგებდა, ჯერ კიდევ ბატონიშვილობაში (1703 - 1712 წ.).

\*) ხაზი ჩვენია.  
\*\*) Sic. შეიძლება ეს სიტყვა უნდა ნიშნავდეს „თავად“ ან „თვარს“ ან „თავსა“?!

ჩუკი და საგვარჯულო სქემაში დავითი ნარინი, მისი შვილები და შვილიშვილი სწორედ ამ სეკლ-ჩუკის წითამომავლად აქვს აღნიშნული. მონაწერში კი სწერია, რომ „მრავალს ვეცადე შემეტყუო... და ვერვისგან შევიტყვე“—იო იმერეთის მეფეთა ტომობრიობაო. შეიძლება აქ საქმე გვქონდეს ის საზოგადო ცვალებებთან - აღრეულობასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-14 - 15-ე საუკუნეებში ქართველ დინასტია შორის — რომელსაც იმერეთის ტახტზე ხშირად ქართლის მეფეები ადიდდნენ. ამის გამო ერთხანს ისეთი შთაბეჭდილებაც კი დარჩა, რომ ნარინის შტო შეწყდა და ქუთაისში ქართლის ბაგრატიონები დამკვიდრდნენ.

მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ქართული ისტორიული წყაროების და საერთოდ ქართული ისტორიოგრაფიის ბედს — უნდა ვივსჯილიყნებოთ, რომ ვახტანგი ზემოხსენებულ სიტყვებს გულწრფელად სწერდა. ქართული საისტორიო წყაროების ბედი კი ყველასათვის ცნობილია: ბევრი რამ ილუბებოდა მტრის ხელით, მაგრამ ბევრს თვით ქართველის ხელი სპობდა! მეფე - მთავრები, შურით და მტრობით ანადგურებდნენ არა მარტო ურთიერთის ციხე - სასახლეებს, არამედ ურთი - ერთის წიგნებს და დოკუმენტებსაც. გვაროვნული, წოდებრივი და ტომობრივი ურთიერთ მიხტომ - მიხტომმა მუდამ ავლებდა საგვარჯულო და სამეფო არქივებს. „უწყებულ იყავნ, რამეთუ ბრწყინვალეს მეფის გიორგის ცხოვრება და ქვეითთა მეფეთა არღარა მოიბოვებინა. გარნა... ყოფილა ცხოვრება მისიცა და სხვათა მეფეთაცა განყოფილებისადმდე... გარნა იყო და წარწყმდა... ანუ შურითა ურთი-ერთთა შემდგომად განყოფისა უჩინო ჰყვეს გვარობისათვის“, — გვაუწყებს ვახუშტიც \*).

წყაროთა ნაკლებობამ ძნელი გახდა წარსული ცხოვრების სინამდვილითი აღდგენა. იმავე ვახუშტის თქმისა არ იყოს: „ზედი და უჩინო არს ცხოვრება და ძნელად გამოსაკლებელი... და უნმს შრომა ფრიადი“. ვახტანგმა მარტოლაც ფრიადი შრომა გასწა და ვახუშტმა მამის დაწყებული დიდი საქმე არა ნაკლები შრომის გაწევით განაგრძო. მან განიჭრახა მამის მიერ დატოვებული

ხარვეზების ამოვება და სხვათა შორის კახთა და იმერთა მეფეების ნათესაობა - შთამომავლობის გამოჩვენებისათვისაც მიუყვია ხელი.

სანამ უშუალოდ ვახუშტის ნოსაზრებებს შევხებოდეთ — უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: საქართველოს ორ სამეფოდ არსებობა ფაქტი იყო 1330 წლამდე. ამ წელს გიორგი ბრწყინვალემ (1318 - 1346) დაიპყრო დასავლეთ საქართველო და მიქელ მეფის ძე ბაგრატი, ერისთავთ-ერისთავად დაადგინა. გიორგი ბრწყინვალის შემდეგ დროები — დავით მეშვიდე (1346 - 1360), ბაგრატ მეხუთე (1360 - 1397) და გიორგი მეშვიდე (1395 - 1407) — გულმოდგინეთ იცავდნენ საქართველოს მთლიანობას... მაგრამ მესხეთმეტე სალუკუნის ბოლოს საქართველოს მტორქე შემოესია გამაჰმადიანებული მონღოლები, რომელთაც წინ უძლოდა შიხნარე თემურ ლენგი (1360 - 1405). საქართველო შიხმე მდგომარეობაში ჩავარდა. თემურის სიკვდილამდე შეიძვერ განიცადა ახორება აღმოსავლეთ საქართველომ. იმერეთის ერისთავთ-ერისთავებმა ისარგებლეს ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებით და აღექსანდრე ბაგრატიონემ, 1387 წელს, მეფედ გამოაცხადა თავი. ამის შემდეგ დასავლეთ საქართველო რამოდენიმეჯერ ისევ ცენტრალურმა ხელისუფლებამ შემოიშტკიცა. ეს შემოშტკიცება საბოლოოდ დაამთავრა სრულიად საქართველოს მეფემ—ალექსანდრე დიდმა (1412 - 1442). მან, 1414 წელს, იმერეთის ერისთავთ-ერისთავად დასვა თავისი ცოლისძმა — დიმიტრი, ძე ალექსანდრე იმერთა მეფისა და მიქელ მეფის შვილი-შვილის შვილი, რომელიც ერისთავთ-ერისთავობაში გაჩრდაიცვალა კიდევ (1414 - 1455). ალექსანდრე დიდის შემდეგ ცოტა ხანს იმეფა მისმა ძემ ვახტანგმა, რომელსაც ძე არ დარჩა და ტახტი გადავიდა მისი ძმის გიორგი მეფის ხელში (1445 - 1469). ამის მეფობაში თავი იჩინა კახეთის განქრძობების ცრძობამაც და 1464 - 66 წლების მიჯნაზე საქართველო უკვე სამ სამეფოდ იყო გაყოფილი: ქართლისა, კახეთისა და იმერეთის.

ვახუშტს კახეთის მეპატრონეთა ბაგრატიონობის საკითხი საგანგებოდ უჩვენებია და თავისი შეხედულება მტკიცებანი უდაო ჭეშმარიტებათ მიჩნია: „ხოლო ჩამომავლობა ნათესაობისა კახთა მეპატრონეთა მეფეთა წარმოგაჩინეთ თვისსა აღვილსა, რომელსა ცელისხნიერი ჰსცნობს სრულიადს ჩვენსა სამართლესა“—ო, ამბობს ვახუშტი თავის წინასიტყვაობაში. „თავისსა ადგილსა“

\*) იხ. ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრება“, შესავალი: „უწყებულება მკითხველი სთვის“. გვ. 9. ბროსეს გამოცემა. ტომი 2, 1857 წ.

მას მართლაც მოყვანილი აქვს საგანგებო თავი: ამ სათაურით: „აღმოჩენა და დაპყრობა აწინდელთა მეპატრონეთა კახეთისათა“. როგორც ჩანს, კახეთის მეფეთა შთამომავლობის საკითხი მართლაც სადაო და გაუჩვენებელი ყოფილა თვით კახელებისათვისაც. არსებულა სხვადასხვა შეხედულებანი: მხაყალითად, ერთნი კახეთის მეფეებს სთვლიდნენ ალექსანდრე დიდის შთამომავლად — ესე იგი ბაგრატიონად. ვახუშტი ეკათათება ამ მიმდინარეობას და ამტკიცებს, რომ „ბაგრატიონთა ჩამომავლობა მათი ძალუცს ყოფად, ამისათვის რამეთუ ჩვეულება იყო საქართველოს ნათესავთაგან მაშინ, ჩამეთუ არა იმის მიპატრონებდიან, უკეთუ ჰყავთ მემკვიდრე მეფეთა ნათესავი“. კახეთის პირველ მეფედ ვახუშტი სთვლია დავითს, რომელიც 1466 წელს ვანუღდა ივიორგი მერვეს და კახეთის მეფედ გამოაცხადა თავი. „ვარნა ესწროთ ჩვენ მეფის ალექსანდრეს მცხეთის აღმშენებლის ძის დიმიტრის ძედ დავითს“... „... ბაგრატიონობა მისი და ჩამომავალთა მისთა დიმიტრისაგან და თეონიერ მისა არა“.. როგორც ირკვევა, არც ვახუშტს ჰქონია ძლიერი და მტკიცე საბუთები. იგი უმთავრესად ლოლიკას ემყარება. ვახტანგ მეექვსეს თუ თავის დროს ბევრი უცდია, მაგრამ ვერ შეუტყვია კახთა მეპატრონეების დანამდვილებითი შთამომავლობა — საფუძველიც ჰქონია.

დღეს კახეთის ბაგრატიონების „ნამდვილი“

ბაგრატიონობა უდაოდ არის გამოცხადებული ქართველი ისტორიკოსების მიერაც.

რაც შეეხება იმერეთის მეფეთა საკითხს — ვახუშტს ისინი დავით რუსუდანისძის შთამომავლებად მიაჩნია: „ხოლო იმერთა მეფეთათვის ... მოესწვდით ნაჩინ დავითის ჩამომავლობად!-ო, გვეუბნება ვახუშტი თავის წინასიტყვაობაში. ვახუშტის არგუმენტაციები ფრიად საყურადღებოა, აწონილი - დაწონილი, ლოლიკური, შედარებული და თუმცა შეცდომები მასაც საკმაოდ მოეპოვება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი კვლევა - ძიებანი სანდო წყაროს წარმოადგენს. ივანემ ჩომელიმაც გულდასმით შეისწავლა ქართული საისტორიო მწერლობა და გამოიკვლია საისტორიო წყაროთა და უამთა-სამწერელთა ღირსება - ნაკლოვანებანი — ვახუშტი ბატონიშვილის შესანიშნავ თხზულებებს დიდი ნდობა გამოუცხადა და აღნიშნა მისი ზოგიერთი ნაკლიც.

დასავლეთ საქართველოს ბაგრატიონთა შთამომავლობის საკითხს ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა ძველად და ესლაც არ მიჩუმებულან ზოგიერთები. შეიქმნა მრავალი გაურკვევლობა, ისტორიული პირობების და ფაქტების აღიქვა. ამ საერთო ქაოსიდან შეთვრამეტე საუთუნის მსწავლულთათვის ძნელი გახდა გამოსვლა. მაგრამ მათ შორის ისევ ვახუშტმა ისახელა თავი და ბევრი რამ წესრიგში მოიყვანა.

„ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილება

უდადესი მოვლენა, რომელმაც მერვე მსოფლიო ომის შემდეგ ქართული საკითხი კვლავ საერთაშორისო სარბიელზედ გამოიტანა, იყო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებისა შთავრობის გადაწყვეტილება, — „ამერიკის ხმა“-სთან შექმნილყო ქართული განყოფილება, რადიო-გადაცემებისათვის ქართულ ენაზე. ეს საშუალებას მისცემდა რკინის ფარდის იქით, კრემლის რკინის სალტეებში ჩატედილ ქართველ ერს, თავის მშობლიურ ენაზე, თავისუფალი მსოფლიოს ხმა მოესმინა და საერთაშორისო ვითარებების შემსარიტი რაობა გაეგო. ამ კეთილი და ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, ჟუპირველეს ყოვლისა, საქირო იყო შეერთებული შტატებში მცხოვრებ ქართველთა შორის შესაფერი ინტელექტუალუ-

რი ძალების შემოკრება, რომელნიც საქმეს სათანადოდ გაუძღვებოდნენ.

ხელისუფლების ყურადღება შეჩერდა ბატონ ერეკლე მამუკასძე ორბელიანზე, რომელსაც ამერიკის საზოგადოებრივობა უკვე დიდი ხნითგან იცნობდა, როგორც ჩინებულ და ნიჭიერ მუსიკოსს. \*) ბატონი ერეკლე ორბელიანი, — სრულყოფილი დაუფლებელი ექობილ ენებს, — კა-

\*) ბატონი ერეკლე ორბელიანი დედის მხრივ შთამომავალია ალექსანდრე ბატონიშვილისა; დედამისი აწ განსვენებულ ელისაბედი ორბელიანისა, იყო ფრანგული ენის პროფესორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მის ქალამს ეკუთვნის ჩინებული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ ფრანგულ ენაზე.

რგო მცოდნე იყო თავისი დედა - ენისაც, რომელსაც აგრეთვე დიდათ უწყობდა ხელს მისი საცირთო განათლება, საზოგადოებრივი გაათვით-ცნობიერება და კულტურა. ამიტომ, სრულიად ღირსეულად, მას მიენდო „ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილების მოწყობა და სათანადო ძალების შემოკრება. ოთხი თვის გულმოდგინე და თავდადებული მუშაობის შემდეგ, — ფაქტობრივად რადიო-საქმის თეორიულ და პრაქტიკულ მხარეებს — ერეკლე ორბელიანმა შესძლო დაეწყო გადაცემები ქართულ ენაზე. მისი სურვილი იყო ქართული გადაცემები საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაწყებულიყო, რაც მან სასრულეშიც ერიყვნა: **ეს იყო 1951 წლის 26 მაისს**. ამგვარად, ჩვენი ქრონოლოგი დღესასწაული, ამ წელს, შესანიშნავი და ძვირფასი ჯილდოთი აღინიშნა! ამხვე დღეს, შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა — ბატონმა დიან აჩესონმა, რადიოს საშუალებით, მოკლე, მხარამ მეტად გულთბილი სიტყვით მიმართა ქართველ ხალხს. ამ სიტყვის შინაარსი შემოგრანტ ქართველთათვის ცნობილია; ქართულმა პრესამ იგი თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა.

მართა ის გარემოება, რომ დიდი ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, თავისი მთავრობის სახელით, საგანგებო სიტყვით მიმართა ქართველ ერს — უცვლელ თავისთავად მეტყველებს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც ამ ისტორიული მოვლენას საქართველოსათვის აქვს! არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ეს მოვლენა საქართველოს ეროვნულ - განმანათლებლურ ფორმის ისტორიაში აღიბეჭდება, როგორც ერთი - ერთი მნიშვნელოვანი და ბრწყინვალე მოვლენათაგანი.

როგორც ცნობილია, ფასული წლის ოქტომბრიდან, ბ. ერეკლე ორბელიანი, გარდა ქართული განყოფილებისა, ითვლება სომხური, აზერბეიჯანული, თათრული და თურქესტანული გა-

ნყოფილებების უფროსად. სიამოვნებით გავიგეთ აგრეთვე, რომ ერთი თვის წინ ამ ერთა რიცხვს მიემატა უკრაინაც. ამგვარად ბატონი ერეკლე ორბელიანი ხელმძღვანელია ე. წ. „სამხრეთ საბჭოთა კავშირის სექციისა“. ეს გარემოება მიგვიბრუნებს იმ დიდ დამსახურებასა და ავტორიტეტზე, რომელიც ბ. ერ. ორბელიანმა საგარეო საქმეთა სამინისტროში მოიპოვა. თავისთავად, ეს ქართველთა სასახელი მოვლენასაც წარმოადგენს!

მე საშუალება მაქვს ხშირად მოვისმინო „ამერიკის ხმის“ ქართული გადაცემები და თავალყური ვადევნო მის ხარისხობრივ მნიშვნელობას. უნდა ითქვას, რომ ქართული გადაცემები თავის სიმართლეზე დგას, ენაც და შინაარსიც კარგია. პროგრამა საინტერესოა. შიშხილვა საერთაშორისო ამბებზე, მკვეთრი პოლიტიკურ - იდეურ ანალიზს შეიცავს. ინტერესით ვისმენ უკანასკნელ ამბებს ორ ხმაზე (ქალის და კაცის). ხშირად ვადმოსცემენ საპოლიტიკო და სხვა საინტერესო თემებს (ლიტერატურაზე, ისტორიაზე, სოციოლოგიაზე, ხელოვნებაზე, სოფლის მეურნეობაზე, ტექნიკაზე და სხვა. ეს თემები მძლავრი ანტიკომუნისტური სულით არის გაშუქებული.

იმედია, ამერიკის ხმის ქართული განყოფილების კოლექტივი, ბატონი ერეკლე ორბელიანის ენერგიული და გონიერი ხელმძღვანელობით, კიდევ მეტი წარმატებით განაგრძობს მუშაობას, საქართველოსათვის ამ მეტად სასარგებლო საქმეში.

**ნიუ-იორკელი მხმენელი**

„ბედი ქართლისა“ სიამოვნებით აღნიშნავს, რომ თავადი ერეკლე ორბელიანი ბრწყინვალედ განაგრძობს მის სახელოვან წინაპართა ტრადიციას და ერთგულად ემსახურება ქართულ საქმეს. უსურვებთ მას წარმატებას.

**ბარათი რედაქციის მიმართ**

ფრანგები ამტკიცებენ: ფრანგული კულტურა გამომდინარეობს ფრანგული ენისაგან. თუ ეს ითქმის ფრანგულ ენაზე, რა უნდა ითქვას ქართულზე, რომელიც უგენიალესი ქმნილებაა ენათა შორის, უგენიალესი „შინა-აზრით“ მისი სიტყვისა. ამის ირგვლივ მრავალჯერ მქონია საუბარი მკითხველთან. ქართული ენისა-

გან გამომდინარეობს არა თუ ქართული კულტურა, არამედ თვითონ ხალხური თვითებაც ქართველთა. წმინდად ინახება ქართული — მტკიცედ რჩება მამულიშვილობაც ქართველთა. „წმინდა“ და „სიმტკიცე“ შინაგან ეთანხმებიან, ეხმიანებიან ერთი მეორეს. მაგალითი. იტყვის რომელიმე ქართველი მწიგნობარი: დავით აღმა-

შენებელმა „განამტკიცა“ ქართველთა ხელმწიფება, ესე იგი, გაამაგრა — ამავე დროს რომელიმე ქართველი დიასახლისი ეუბნება შვილს: ფქვილი გამტკიცე, ესე იგი, გაწმინდე! გამოდის: რაც მაგარია წმინდაა და რაც წმინდაა მაგარი. აი ის „შინა - აზრი“ სიტყვისა!

საჭიროა შეურყვნელად შევინახოთ ქართული ენა: დავიცვათ მისი „სიწმინდე“, რათა ამით „განვტკიცდეთ“ ჩვენ როგორც მამულიშვილნი. „ბედი ქართლისა“ მოვალეა იწყოს წმინდვა ქართულისა, დღეს ეგზომ შერყვნის.

ჯერ სიტყვა ამ ორი სიტყვაზე.

„კ ო მ ი ტ ე ტ ი“. ეს სიტყვა რუსულში ბუშია, ქართულში კი ნაბუშარი. მისი ფრანგული დედანი არის «Comité», რომელსაც ფრანგები ასე მარტავენ: *Réunion de membres choisis dans une assemblée pour examiner certaines affaires*. ჩვენში ამ მიზნისათვის ირჩევდნენ თავკაცებს: „მოთავეთ“. აქეთგან ქართული სატყვისი ფრანგული «Comité»-სი იქნება: ს ა თ ა ო ს ნ ო. თუ ჩვენ თანამემამულეთ ჰსურთ მაინცა-და-მაინც უცხო სიტყვა იხმარონ, მაშინ მათ ეს მაინც მოეთხოვებათ, იგი სწორად იხმარონ, აი ასე: კომიტე, კომიტე-სი, კომიტე-ს, კომიტე-დ, კომიტე-თი, კომიტე-ზე.

„ა მ ო ც ა ნ ა“. ეს სიტყვა, ცხადია ყველასათვის, ქართულია. ხოლო დღეს იგი ყველას მიერ ყალბად იხმარება როგორც სატყვისი ფრანგული «Tâche»-სი და გერმანული «Aufgabe»-სი. სიყალბე ესე შემოვიდა რუსულითგან,

საცა „ზადაჩა“ - „ზადანიე“ ორივე მნიშვნელობით იხმარება: როგორც „გამოცანასი“ ისე „გასაკეთებლისა“. „ამოცანა“ გასაკეთებლის აზრით პირდაპირ უაზრობაა. არსი რომ გაყვანილ უნდა იქნას, მაგალითად, ეს უკვე „გამოცნობილია“ - „ამოცნობილი“. ჩვენ წინ აქ დგას არა „ამოცანა“, არამედ „საქმე“. დააკვირდით აქ ამ თავსართს „სა“: იგი უთითებს, რომ რალაც გასაკეთებელია, საქმელია: სა - ქმე. ეს სიტყვა თვისი „შინა - აზრით“ უფრო მხვედრია ვიდრე ფრანგული «Tâche» ან გერმანული «Aufgabe», შეგვიძლია ხანდახან „საქმელიც“ ვინხაროთ.

გრიგოლ რობაქიძე

ეწევა 1953 თებერვალი

**შენიშვნა:** რედაქცია დიდი კმაყოფილებით ლებულოებს გრიგოლ რობაქიძის წინადადებას და სთხოვს მას დახმარებას ამ საქმეში.

შერევეულის გადაჩვევა ძალიან ძნელია, მაგრამ არც შეუძლებელია. მაგ. ვხმარობდით „კოლონია“, ახალშენი. ამ სიტყვას სხვა ნიუანსიც აქვს. ჩვენ კი აქ გვაქვს ნაგულისხმები ცნებისათვის ზეგამოჭრილი სიტყვა — სათვისტომო. გრიგოლ რობაქიძემ მიგვიითითა ამაზე და დღეს თითქმის ყველანი ვხმარობთ: „სათვისტომო“-ს.

გრიგოლ რობაქიძე გვირდებდა ყოველ რვეულში ჩვენი ჟურნალისა გვიჩვენოს რომელიმე შერყვნილი თუ ყალბად ხმარებული სიტყვა თუ გამოთქმა.

ქართული ბალეტი ბ. ილ. ჯაბადარისა

ამა წლის 22 იანვარს, პარიზში „უნესკოს“ დარბაზში ამ დაწესებულების თანამშრომელთათვის გაიმართა ქართული საღამო ბ. ილია ჯაბადარის ბალეტისა და ბ. ილ. თვალთმშევის ქართული გუნდის მონაწილეობით. საღამო მოწყობილ იქნა ქართ. სათვისტომოს გამგეობისა და ბ. ილ. ჩხენკელის დახმარებით.

ბ. ილია ჯაბადარის ქართულმა ბალეტმა ერთხელ კიდევ თავი ისახელა. მონაწილეებმა ბ. ს. იანთელის ხელმძღვანელობით, საუცხოოდ შეასრულეს ყველა ცეკვები და დაუსრულებელი ტაშის ცემით იყვნენ დაჯილდოვებული დამსწრე საზოგადოების მიერ.

განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია დარ-

ბაზში ძმ. კობახიძეებისა და როსტომ წერეთლის გამოსვლამ.

დიდად დასაფასებელია ბ. ი. ჯაბადარის დაუღალავი შრომა ჩვენი ხელოვნების პროპაგანდის საქმეში. საღამოს დაწყების წინ მან ფაქეთა მოხსენება ქართული ცეკვების შესახებ. განუმარტა საზოგადოებას, რომ ჩიხა ქართველებისა და მთიელების ეროვნული ტანისამოსია და არა ყაზახებისა, როგორც ეს მძიღებულთა დასაუღლებში; რომ ყაზახებს ს ჩიხა რუსებმა ჩააცვეს კავკასიის დაპყრობის შემდეგ და სხვა. მოხდენილად დასაზავათა ქართული ცეკვები და მათი შინაარსი..



ზ რ ე ს ნ ის მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

„სახალხო საქმე“

«The Voice of Free Georgia»

საქ. სოც.-ფედ. პარტიის საზღვარგარეთელ-  
მა ბიურომ გამოსცა საფანჯგობო რვეული პარტი-  
ის დაარსების 50 წლის თავის აღსანიშნავად.  
უურნალში მოთავსებულია მეტად საინტერესო  
წერილები, მათ შორის „ბედი ქართლისა“ სა-  
ნამწრომლები: პ. როფ. მიხეილ წერეთლისა და  
გრიგოლ რობაქიძის.

გრიგოლ რობაქიძის მოკლე, მაგრამ შესანიშ-  
ნავად მხვედრ წერილში ვკითხულობთ: „ფურ-  
ცლავ საქართველოს მატთანეს. 1901 წელი,  
ენკენისთვე. თავად - აზნაურობა, მათავე ნაწი-  
ლი მისი, ზემით იხდის საქართველოს რუსეთ-  
თან „შეერთების“ 100 წლის თავს. გაშტერებუ-  
ლი ხარ, რა არის აქ საზეიმო? ის, რომ აქტი „შე-  
ერთებისა“, შეფეც ერეკლე მეორის მიერ ლტო-  
ნიანთა შინაგანი ტყვეობით და უმძაფრესი ისტო-  
რიული დაძაბულობით განზომილი, იმპერატო-  
რების რუსეთთან ასე ვერაგულად გააუქმა და გა-  
აქარწყლა? გაშტერებული ხარ. გესახვის თვალ-  
წინ: ცხენს მოაქანებს მისებური რისხვით სყვა-  
ნილი მეფე, ვითარ ანტიურთ ტრასგიული გმირი,  
რათა ერთი მოქნევით ხრმალისა, რომელმაც არ  
იცის აცდენა, გარეკოს მოზენი. ფურცლავ  
მატიანეს, ხედავ ერთს მცირე ფურცელს, შიგ  
ჩატნულს. კითხულობ: „სამარცხენით ნაბიჯი,  
დასაგმობი“ — ეს მოზენითა მიმართ. გესმის  
ხმა „ქართლის ცხოვრებიდან“: ხმა მსგაჰი, მტ-  
კიცე, ცეცხლელი. გულის ტყვილი გინელდე-  
ბა. მხრებში იმართები, ჯანი გემატება, სხივფე-  
ნით იფრქვევა ანთებული. ფიქრობ, იმედით სა-  
ესე: არა, ათასში ერთიც რომ აღმოჩნდეს ერთ-  
გული მამულისა და დედულის, ერის ცოცხალი  
ინგაღი არ დაიშრიტება.

ამ ფურცლით, რომელიც არალეგალურ შე-  
იჭრა „ზეიმში“, დაიწყო მამულიშვილური ღვა-  
წლი ფედერალისტების რაზმისა. ამავე ფურცე-  
ლით შედიან ეს მოღვაწენი „ქა ხლის ცხოვრე-  
ბაში“ — დაფასება უმნიშვნელოვანესი ამისა  
ქართველისათვის მე არ შეგულებდა“.

ნიუ - იორკში გამოვიდა № 1 პერიოდულ  
საინფორმაციო ბიულეტენისა: «The Voice of  
Free Georgia».

კრებულში მოთავსებულია წერილები: საქა-  
რთველოს საკითხი — ბ. ა. ცოხიაძის; საქართ-  
ველოს ეკლესია — ბ. პ. ქუთათელიისა; კავკასი-  
ის ერთი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის —  
ბ. ა. გუგუშვილისა და სხვა საინტერესო და სა-  
ჭირო ცნობები ჩვენი ქვეყნის სუვერენობის აღ-  
დგენისა, მისი ცნობისა და კონსტიტუციის შე-  
სახებ.

ინგლისურ ენაზე ქართული ჟურნალის გამო-  
ცემა, მტკადრე დღევანდელ პირობებში, ფრიად  
სასარგებლო საქმეა.

„ი ვ ე რ ი ა“

გამოვიდა ჟურნალი „ივერია“ №5 - 6, ორგა-  
ნო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა. მტკად  
საინტერესოა ბ. ალ. ასათიანის ნარკვევი: „ამე-  
რიკა და რუსეთი“.

„მებრძოლი საქართველო“

„მებრძოლი საქართველო“-ს № 9 მთლიანად  
მიძღვნილია ნოე ჟორდანას ხსოვნისათვის.

როგორც ვიცით, ეს ჟურნალი არის ორგანო  
ლტოლვილთა საბჭოსი, რომელიც წარმოადგენს  
ქართველობის მხოლოდ ერთ ნაწილს, და რომ-  
ლის ახალი პოლიტიკური ხაზით სრულებით არ  
იყო განსვენებული ადფრთოვანებული.

გაკვირს, რომ მან იყისრა, ნოე ჟორდანას  
პოლიტიკური ჭირისუფლობა. შესა-  
ფერისი და ღირსეული იქნებოდა, რომ ყველა  
პოლიტიკურ მიმართულებებს ერთად მიეღოთ  
თავის თავზე ეს ჭირისუფლობა და 26 მაისის  
საქართველოს მეთაურის ხსოვნისათვის სათანა-  
დო პატივი ეცათ. უკიდურეს შემთხვევაში ეს  
როლი მის მიერ შექმნილ პარტიას ეკუთვნოდა.  
რომელიც, უთუოდ უკეთ მოიხდიდა თავის მო-  
ვალეობას განსვენებულს წინაშე, ეინემ ეს ფა-  
აკეთა ზემოხსენებულ საბჭოს ხელმძღვანელობამ  
უშინაასო ჟურნალის გამოცემით.



**ზ ი ნ ა ა რ ს ი :**

- 1. **ფ. მიხ. წერეთელი** — † ნოე უორდანიას.
- 2. **სალია** — დიდი საფლავის წინაშე.
- 3. **ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან.**
- 4. **პროფ. მიხ. წერეთელი** — „ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის (გაგრძელება).
- 5. **გ. გამყრელიძე** — გრიგოლ რობაქიძის. — სიზმრები.
- 6. **გ. ყიფიანი** — შემოდგომა.
- 7. **გრიგოლ რობაქიძე** — დღიურიოთგან.
- 8. **მ. მ. თარხაიშვილი** — ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წიგნსაცავებში.
- 9. **ეჭ. გ. კობახიძე** — ზოგიერთი ცნობები დასავლეთ საქართველოს ბაგრატიონებზე.
- 10. **„ამერიკის ხმის“** ქართული განყოფილება.
- 11. **გრიგოლ რობაქიძე** — ბარათი რედაქციის მიმართ.
- 12. **ქართული ბალეტი** ბ. ილიას ჯაბადარისა.
- 13. **პრესის მიმოხილვა.**
- 14. **ქრონიკა.**

**ჭ რ ო ნ ი კ ა**

**ქართული ევროპული მოძრაობა**

ქართული ევროპული მოძრაობის ინიციატორთა განზრახული აქვთ მოკლე ხანში მოიწვიონ თათბირი მოძრაობის საბოლოო ჩამოსაყალიბებლად.

ქართულ ენაზე გამოცემული წიგნაკი „საქართველო - ევროპა“ ითარგმნა და მალე გამოვა უცხო ენებზე.

**The Georgian Question before the free World**

მოკლე ხანში გამოვა ბ. კ. კანდელაკის წიგნი (220 გვ.) ინგლისურ ენაზე *«The Georgian Question before the free world»* (საქართველოს საკითხი თავისუფალ კაცობრიობის წინაშე).

რედაქციამ მიიღო ინგლისელი მეცნიერის ბ. დავით ლანგის მიერ ამერიკაში გამოცემული წიგნაკი, საქართველოს უკანასკნელი მეფის ძის, იოანე ბატონიშვილის შესახებ: **Prince Ioann of Georgia and his «Kalmasoba».**

**„ვეფხისტყაოსანი“ იტალიურ ენაზე**

1945 წ. ქალ. მილანოში გამოვიდა იტალიურ ენაზე ბ-ნ შალვა ბერიძის თარგმანი „ვეფხისტყაოსანი“-სა. წიგნი დასურათებულია და შეიცავს 330 გვერდს. ფასი — 1.900 ლირა.

**ქართული მონასტრის აღმოჩენა პალესტინაში**

ბეთლემში გათხრების დროს აღმოაჩინეს ქართული მონასტერი მხელეთი - მთეჭესე სასტუმროს წარწერებით. სამი წარწერა გადაეგზავნა ჩვენთანამშრომელს; მ. მ. თარხაიშვილს წასაკითხავად და გადასათარგმნელად.

დაწერილებით შემდეგ ნომერში.

**ქართველ მოჭადრაკეთა კლუბი**

პარიზში დაარსდა ქართველ მოჭადრაკეთა კლუბი. წევრად ჩაწერა შეიძლება ბ. მ. სტურუასთან.

„ბედი ქართლისა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ივანე ჯავახიშვილის, შალვა სოხაძის და აპოლონ კობახიძის გარდაცვალების გამო.

**კრებულის ფონდი**

შემოსწორეს: ბ. ბ. მ. კ - მა — 20.000 ფრ., ა. მერაბიშვილმა — 3.500 ფრ., ტ. ჩხეიძემ — 3.000 ფრ., ვ. კობახიძის საშეღებოთ ამერიკითგან — 3.500 ფრ., მ. ჩუბინიძემ — 2.000 ფრ., ნ. გულაშვილმა — 1.000 ფრ., შ. ვიორგაძემ — 1.000 ფრ.

**სულ — 34.000 ფრ.**

რედაქცია უღრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.